



# საბჭოეთის საგარეო ურთიერთობები

ს.ს.ს.რ.  
იუსტისსახარების  
ფრაზიკული  
ფრაზა



№ 22

15 ნოემბერი

1928

## → შინაგარეობა ←

- ✓ ი. ტალახაძე. — კულტურულ რევოლუციის ნიშნით.
- ✓ ა. კაკარაძე. — ბიუროკრატიზმი და სასამართლო.
- ✓ გ. ბააზოვი. — მშრომელ ებრაელთა მიწადომეულობის საზოგადოება.
- ✓ ბ. ქავთარაძე. — დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის.
- ✓ კ. ბაქრაძე. — დამცველთა კოლეგიის კოლექტიურად მოწყობის ბისათვის.
- ს. თარხანოვი. — მოპასუხენი სოლიდარულ პასუხისმგებლობის სარჩელზე.
- ნ. ჯინჭარაძე. — მომრიგებელი კამერები და სამედიკატორო სასამართლოები.

### პრაქტიკოსის შინაგარეობა

- გ. ორჯონიკიძე. — სასამართლოს სესიების მოწყობის შესახებ.
- გ. ქილიფთარი. — რა უშლის ხელს თავის დროზე გადაწყვეტილებათა აღსრულებას?
- ბ. გამაზიშვილი. — სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობის შესახებ.
- ✓ ი. კაციტაძე. — სისხ. სამ. კოდექსის 174 მუხ. შეფარდების შესახებ.

### შარილი რედაქციის მიმართ

გ. რცხილაძე. — საპირადო განმარტება.

### იურიდიული დახმარება

კანონმდებლობის მიმოხილვა

ოფიციალური ნაწილი

# საქ. ს. ს. რ. იუსტისსახკომის გამოცემული

თანხმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და პრეტევიკერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

## იღებს ხელისმძღვერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიის გამოცემულს საწარმოო აქს:

- |   |   |
|---|---|
| 1. საქ. ს.ს. რესპ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქულ ენაზე . . . . . — 40 კ.  | 16. იგივე რუსულ ენაზე . . . . . — 70 კ.   |
| 2. საქ. ს. ს. რესპ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქულ ენაზე . . . . . — 40 კ.   | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშურად) გაყიდულია.  |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ.   | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემატმასკომებისათვის (გაყიდულია).   |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე . . . . . 2 მ. — | 19. ბროშურა „კომლის გაყრა“—მ. ქორქაშვილი . . . . . — 20 კ.  |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე . . . . . 1 მ. 50 კ.      | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდული).  |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე . . . . . 3 მ. 10 კ.      | 21. „იუსტისსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ . . . . . 1 მ. —   |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქარ. ენაზე . . . . . 3 მ. —                     | 22. ბროშურა „მიწის შრომითი იჯარა“— ა. ალხოვი. — 15 კ.   |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე . . . . . 3 მ. —                     | 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. . . . . 3 მ. —  |
| 9. საქ. ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი.   | 24. „იუსტისსახკომის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება).  |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ.   | 25. „საქართველოს ს. ს. რესპ. შრომა გასწორების კოდექსი“ . . . . . — 50 კ.  |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა . . . . . — 75 კ.                                     | 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი - კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნი) . . . . . — 50 კ.  |
| 12. იგივე რუსულ ენაზე . . . . . — 75 კ.   | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება-მოვალეობანი სასამართლოში“ . . . . . — 25 კ.  |
| 13. საქ. ს. ს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე . . . . . — 45 კ.  | 28. „ნასყიდობა“—ა. ალხოვისა . . . . . — 70 კ.   |
| 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე . . . . . — 25 კ.   | 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имущество, переходящих по наследованию и дарению“ И. Паичадзе. სისხლის სამართლის კ.—პ. 70 კ. |
| 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა . . . . . — 70 კ.  | 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე . . . . . — 65 კ.   |

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული. ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უმაღლეს ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

# საბჭოთა საშრობელი



არაქაშიის და კანტორის  
მისამართი:

თბილისი, ტრიბუნალის  
ძ. № 32

ტელ. № 10-51

ნაღისმოწერის ფასი:

წლიურად — 10 მან.  
6 თვით — 5 მ. 50 კ.  
3 თვით — 3 მ.  
1 ნომერი 50 კ.

№ 22

15 ნოემბერი 1928 წ.

№ 22

## კულტურულ რევოლუციის ნიშნით

ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავზე ჩვენს წინაშე ორი დიდი ამოცანა დგას: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კულტურული რევოლუცია.

განვლილმა დრომ დაამტკიცა, რომ ჩვენი ქალაქის მეურნეობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. წარსულ წლის სამეურნეო გეგმა შესრულებულ იქნა გადაჭარბებით (16 პროც. მაგიერათ ზრდა მოხდა 21,6 პროც.) და რაც უფრო ღირს შესანიშნავია — განსაკუთრებულად ჩქარა ვითარდება მანქანების და ქიმიურ ნაწარმოების დამზადება. პირველმა გადააჭარბა ომის წინა დროინდელს ორჯერ, ხოლო მეორემ ორ-ნახევარჯერ. ჩქარის ტემპით ფართოვდება აგრეთვე სათბობ მასალის — ქვა-ნახშირისა და ნავთის — წარმოება, რომლებმაც ომის წინა დროინდელს 20-30 პროც. გადააჭარბა.

იზრდება სოფლის მეურნეობაც. თუმცა შედარებით უფრო ნელი ტემპით. ტექნიკურ მცენარეულობათა დამზადებამ ომის წინა დროინდელს 10-15 პროც. გადააჭარბა, მაგრამ პურეულობის მოსავალმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მაშინდელ დონემდე.

ასეთი ნელი განვითარების მიზეზია პირველად ყოვლისა სოფლის კულტურული ჩამორჩენილობა, თვისლის გადარჩევა, მიწის გაპოხიერება, მრავალ მოსავლიანობის კულტურა და სხვა ამგვარები ჩვენი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ პატარა გამოწვევის შეადგენს. ასეთ ელემენტარულ ზომების მიღების გარეშე კი სოფლის მეურნეობის გაფართოება შეუძლებელია.

კულტურის საკითხი მწვავედ დგას არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქის მეურნეობაშიც. არც იქ მოგვეპოვება სათანადო რაოდენობის და გამოცდილების სპეცები. ზოგი მათგანი მტრულათაც არის განწყობილი სოციალისტურ აღმშენებლობასთან, როგორც ეს შახტის პროცესმა დაგვანახვა.

ჩვენი მეურნეობა იმდენად გაახარდა, რომ იგი არსებულ კულტურის ფარგლებში აღარ თავსდება. მართალია კულტურა თერთმეტი წლის განმავლობაში ძალზე გაიზარდა (წერაკითხვის. მცოდნეთა რიცხვი 25 პროც. რევოლუციის წინა დროში — ავიდა 46 პროც. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საშუალოდ. 1913 წელში ყველა გაზეთების ტირაჟი უდრიდა 2 1/2 მილიონს, 1928 წელში

კი 8 მილიონს), მაგრამ მისი დონე მაინც მეტად ჩამორჩენილია იმ ამოცანებთან შედარებით, რასაც ჩვენ წინ სოციალისტური აღმშენებლობა აყენებს.

ბიუროკრატიზმა, საქმის გაჭიანურება, მიწერ მოწერის სიმრავლე — ეს ყოველივე ძველი უკულტურობის ნაშთია და ჩვენს პროგრესს წინ ეღობება. უნდა ითქვას, რომ ეს ნაშთი ყველაზე მეტი სასამართლოს აპარატს დარჩა შემკვიდრებით. ამიტომაც ჩვენ სამართლის მუშაკებს გვმართებს მეტი ბრძოლა ამ სამარცხინო მემკვიდრეობასთან მისი სრულიად აღმოფხვრამდე. ამისათვის კი საჭიროა მეტი კულტურა — ცოდნა — შეგნება.

ი. ტალახაძე.

## ბიუროკრატიზმი და სასამართლო

1918 წელს თავის მოხსენებაში სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ ვლადიმერ ილიას ძე სასამართლოს შემდეგნაირად შეეხო: „ეს გზა, რომელიც განვლო საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალისტური არმიის მიმართ, განვლო აგრეთვე გაბატონებულ კლასების უფრო მახვილ და რთულ მეორე იარაღის — ბურჟუაზიულ სასამართლოს მიმართაც, რომელიც გამოხატავდა არსებულ წესრიგის დაცვას, ხოლო სინამდვილეში კი ბრძ., მახვილი იარაღი იყო ექსპლოატაციამნილების უღმობელ დაბეჩავებისა და ფულით სავსე ტომრების დაცვისათვის მოწოდებული. საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც უანდერძა მას პროლეტარულმა რევოლუციამ, მან ის ერთბაშად დაამსხვრია. დეე რამდენიც უნდა იყვირონ, რომ ჩვენ, ძველი სასამართლოს რეფორმის ჩატარებით — მთლიანათ გავეცით ის დასამსხვრევად. ჩვენ ამით გავწმინდეთ გზა ნამდვილი სახალხო სასამართლოსათვის და არა მეტად რეპრესების საშვალებით, რამდენათაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან შექვენით სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე აღმზრდელი იარაღი (11 ტომი გვ. 74)“ და შემდეგ 1919 წელს ბურჟუაზიულ დემოკრატიის და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მოხსენების თეზისებში ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა: „სახელ-

მწიფოს მხოლოდ საბჭოთა ორგანიზაციით ძალუძს ერთ-ბაშათ და სამუდამოთ დაამსხვრიოს ძველი, ე. ი. ბურჟუაზიულ—ჩინოვნიკურ სასამართლოს აპარატი, რომელიც განაგრძობდა არსებობას და კიდევ უნდა განეგრძოს კაპიტალიზმის დროს თვით უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაც კი, და ფაქტიურად წარმოადგენდა უაღრესად დიდ დაბრკოლებას მუშათა და მშრომელ მასებისათვის მათ მიერ დემოკრატიზმის განხორციელების დროს. პარიზის კომუნამ ამ მხრივ გადადგა პირველი ისტორიული ნაბიჯი, და საბჭოთა ხელისუფლებამ კი მეორე“ (16 ტომი გვ. 45). ზემოთ აღნიშნული ეს ორი ციტატა მიგვითითებს ჩვენ მასზე თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი ძველ სასამართლოს აპარატის დამსხვრევასა და განადგურებას. ის დიდი ყურადღება, რომლითაც ეპყრობოდა ვლადიმერ ილიას ძე ძველ სასამართლოს აპარატის განადგურების ფაქტს—გვაიძულებს ჩვენ სერიოზულად ჩაუკვირდეთ თუ რამდენათ უნაკლო და გამოსადეგია ჩვენი სასამართლოს აპარატი (თუნდაც ჩვენი სასამართლოს არსებობიდან 8 წლის განვლის შემდეგ) და რამდენათ ასრულებს ის თავის დანიშნულებას. პირველად ყოვლისა ჩვენ ნათლათ უნდა გავერკვიოთ, თუ რა როლს ასრულებს სასამართლო სახელმწიფოებრივ სისტემაში საერთოდ, როგორია ბურჟუაზიული სასამართლოს როლი, პროლეტარული სასამართლოს როლი და რა ძირითადი განსხვავებაა ამ ორ სასამართლოს შორის. უდავოა, როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი სისტემა სასამართლო ყველგან წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ ორგანოს, რომლის საშვალეებით გაბატონებული კლასი იმორჩილებს სხვა დანარჩენ კლასებს, რომელთაც აწარმოებს ის კლასიურ ბრძოლას. ბურჟუაზიული სასამართლო როგორც გაბატონებული კლასის აპარატი—მოწოდებულია ამ კლასის პრივილეგიათა დაცვისათვის; ის, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი აპარატის ძირითადი ნაწილი ემსახურებოდა და ემსახურება არა მარტო მუშათა და მშრომელ მასების კაპიტალისტებისა და მემამულეების ექსპლოატატურ უღელისაგან განთავისუფლების შეფერხების საქმეს, არამედ თვით არის საშვალეობა ამ მ.სების საექსპლოატაციოთ და დასაბეჩავებლად, ის არის ბურჟუაზიული ორგანო როგორც თავისი არსებით, ისე თავისი წყობილებითაც და დასასრულს ეს სასამართლო აფერხებს მუშათა და მშრომელ მასების მიერ პროლეტარულ დემოკრატიის განხორციელების საქმეს და ეწინააღმდეგება მათ მიერ ისტორიული ამოცანის შესრულებას—კლასების მოსპობას და სოციალიზმის განხორციელებას.

პროლეტარული სასამართლო მუშებისა და მშრომელ მასების უმრავლესობის კლასიური ორგანო არის, რომელსაც მიზნათ აქვს არა ექსპლოატაცია, არამედ მუშებისა და გლეხების აღზრდა და სათანადო მომზადება: ის ფხიზლათ უნდა იცავდეს ამ მასების ინტერესებს და საიმედო დარაჯათ ედგეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ. რამდენათაც პროლეტარული სასამართლო გაბატონებულ უმრავლესობის ორგანოა—ის მჭიდროთ უნდა იყოს შეკავშირებული მშრომელთა მასასთან და არ იქცეს ბიუროკრატიულ ორგანოთ; ის ძალზე მოქნილ,

მკრძნობიარე აპარატათ უნდა გახდეს და მასში ფართო გამოძახილი პოვოს მუშებისა და გლეხების ყოველივე საჭირობოროტო საკითხზე; მან თავის დროზე და დაუფიანებლივ განსაკუთრებრივი სიმკაცრით უნდა ებრძოდოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დირექტივების ყოველგვარ დარღვევებს. იმისათვის, რომ პროლეტარული სასამართლო ყველა მოხსენებული ხარისხით იყოს დაჯალდოებული—მას ზედმიწევნით კარგათ უნდა ესმოდეს პროლეტარიატის დიქტატურის აზრი და მნიშვნელობა.

ამ მოსაზრებით იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ჩვენი სასამართლოების პირად შემადგენლობის შერჩევის საკითხს უაღრესი სერიოზულობით, სიფრთხილითა და განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიუდგეთ. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვსთქვათ, რომ ჩვენი სასამართლოები ამ მხრივ იმ გვარათ არის მოწესრიგებული, რომ დასახულ ამოცანას ისე ასრულებს, როგორც ამას ის უნდა ასრულებდეს ლენინისა და მთელი ჩვენი პარტიის აზრით? სამწუხაროთ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჩვენ ამ დარგში უკვე მივალწიეთ საჭირო შედეგებს. მართალია ძველი სასამართლო საბოლოოთ მოვსპეთ და ახალი სასამართლო შევქენით სულ სხვა საფუძველზე და მაშასადამე თითქოს ბიუროკრატიზმისა და ყალბანდობის მექანიზმებით მიღებისათვის არ იყო საჭირო ნიადაგი, მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დღემდე სწორეთ ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას აქვს ადგილი ჩვენ სასამართლოებში. ჩვენი სასამართლო სამწუხაროთ ამ დარგში არ შეადგენს ვაშონაკლისს სხვა დანარჩენ ჩვენ დაწესებულებებიდან—მიუხედავთ იმისა, რომ ის მოწოდებულია ებრძოდოს ამ ბოროტებას მთელ საბჭოთა აპარატში. ჩვენი სასამართლო იმ რკინისებურ იარაღათ უნდა იქცეს, რომლითაც პროლეტარიატის დიქტატურა შესძლებს ძირფესვიანათ მოსპოს და განადგუროს ბიუროკრატიზმი ყველა დაწესებულებებში დაწესებული ქვედა საფეხურიდან ვიდრე სულ უმაღლესამდე.

თავის საბოლოო სიტყვაში სრულად რუსეთის პარტიკონფერენციაზე 1921 წელს ამხ. ლენინი სვამდა კითხვას: (18 ტომი 1 ნაწ. გვ. 256) „საქმის გაჭიანურებისათვის პასუხისგებაში აძლევდით ვისმეს? სადა გვაქვს სახალხო სასამართლოს განაჩენები მასზე, რომ მუშა და გლეხი იძულებული ვამხდარი 4-5-ჯერ მივიდეს დაწესებულებაში—ბოლოს მიიღებს ფორმალურად თითქოს სწორ პასუხს, ხოლო არსებითად დაცინვის მსგავსს. თქვენ ხომ კომუნისტები ხართ, რათ არ მოუწყობთ ამ ვაჭბატონ-ბიუროკრატებს მახეს, წაათრიეთ ისინი სახალხო სასამართლოში და შემდეგ ციხეში ამგვარ საქციელისათვის“: და შეჰდევ სრ. რუსეთის პოლიტგანების მე-2-ე ყრილობაზე ამხ. ლენინი ამბობდა: (18 ტომი 1 ნაწ. გვ. 352) „საბჭოთა კანონები მით არის კარგი, რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოდოს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, რა შესაძლებლობაც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ აქვს მუშასა და გლეხს,—მაგრამ სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავენ. და არა თუ გლეხმა, კომუნისტების დიდმა პროცენტმაც არ იცის თუ როგორ უნდა გამოიყენოს საბჭოთა კანონები ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურების და

მეკრთამეობის, ამ წმინდა რუსულ მოვლენის —წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; რა უშლის ხელს ამ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით კანონები რამდენიც გნებავთ იმდენია დაწერილი. რატომ არ იქნა მიღებული ამ ბრძოლაში მიღწევები. იმიტომ, რომ არ შეიძლება ის გადავქციოთ მხოლოდ ერთ პროპაგანდათ, არამედ მაშინ შეიძლება მისი სასურველი დაბოლოება - უკეთეს თვით ხალხის მასა გვემარება“.

ამ ციტატის პირველ ნაწილიდან ის დასკვნა გამოიყვანება, რომ ვლადიმერ ილიას ძე უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ჩვენი სასამართლოს დანიშნულებას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საქმეში. ციტატის მეორე ნაწილი კი ჩვენ გვიკარნახებს, რომ ამ დარგში ხალხის მასების დაუხმარებლათ ვერავითარ შედეგს მივაღწევთ.

ეხლა ისმება საკითხი — შეუძლია თუ არა ჩვენ სასამართლოს ებრძოლოს ბიუროკრატიზმს, კანონების დამახინჯებას, საქმის გაჭიანურებას მაშინ როდესაც ეს მოვლენები ყოველ მხრიდან გამოსჭვავის ჩვენ სასამართლოების საქმიანობაში. შეიძლება მითითებულ იქნეს მთელ რიგ საქმეებზე, რომლებიც 1922-23-24 წლებშია აღძრული და დღემდე არ დამთავრებულან; ეს საქმეები უმეტეს შემთხვევაში მუშებსა და გლეხებს ეკუთვნის, რომელთაც არა თუ მოწყინდათ საქმეებზე სასამართლოებში ხეტიალი, არამედ მათი გახსენებაც კი შეძავდათ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მოგებულ მხარეს განუცხადებია, რომ ის უფრო ბედნიერი იქნებოდა და მოგებულს დაჩეხობდა თუ რომ საქმეს მის დაწყებისთანავე წაავებდა, რადგან საქმის დამთავრების გაჭიანურებამ მას დიდი დრო წაართვა და მნიშვნელოვანი ხარჯები გააწვიანა. ბევრ სახალხო სასამართლოში მოუწესრიგებელია საქმე, არ არის პროლეტარული დისციპლინა, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას თავის მოქმედებისათვის. როგორ შეუძლია ისეთ მოსამართლეს, რომელიც თვით იძლევა საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და უმოქმედობის მაგალითს — გასამართლოს სხვა დაწესებულებათა მუშაკები ამავე ბოროტებისათვის. რა სარგებლობას მოუტანს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და მშრომელ მასებს ისეთი მოსამართლე, რომელსაც არ შეუძლიან ისე მოაწყოს საქმე, რომ წესიერათ და შეუფერხებლად მუშაობდეს როგორც თვითონ ისე სასამართლოს აპარატი, რომელმაც არ იცის სამუშაო დროს სათანადოთ გამოყენება და ამ დროს რაზედაც გნებავთ იმაზე ხარჯავს, მხოლოდ არა ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელიც არ იცნობს ჩვენს კანონებს და არც ცდილობს მათ შესწავლას, რომელსაც არა აქვს არავითარი წარმოდგენა პროლეტარატიის დიქტატურის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ და რომელიც საერთო განვითარება-შეგნებით ძალზე დაბლა დგას? სად უნდა ვეძიოთ ყველა ამ ბოროტების მიზეზი? რა უნდა ვქნათ, რომ ის აცილებული იქნეს? მიზეზი ჩვენის აზრით ერთის მხრივ პროცესუალური კოდექსების წყობის სისტემაშია, მეორეს მხრივ, ჩვენის სასამართლოების პირად შემადგენლობის ცუდ შერჩევაში და მესამეს მხრივ, ზო-

გიერთ რაიონებში სასამართლოს მუშაკთა მცირე ხელფასის არსებობაში.

იმისათვის, რომ ჩვენი სასამართლო ნამდვილათ ისე მოეწყოს, როგორათაც უნდა იყოს ის მოწყობილი თავის დანიშნულებით — საქირაო:

1) პროცესუალური კოდექსების გამარტივება, რაც გააიოლებს საქმეთა მოძრაობის სისტემას, 2) ადგილობრივი ხელმძღვანელ საბჭოთა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების მიერ უფრო სერიოზული ყურადღების მიქცევა ჩვენი სასამართლოების პირად შემადგენლობის სხვაგვარ საფუძველზე შერჩევისათვის, 3) სასამართლოს მუშაკთა ხელფასის გაზრდა და ამ მხრივ ჩამოჩენილ რაიონების გათანაწილება ტფილისის რაიონთან და 4) სახალხო სასამართლოთა ქსელის გაზრდით (და არა შემცირებით) მათი წვრილ საქმეებისაგან განტვირთვა, რომლებიც უნდა დაექვევდებაროს სათემო ერთეულებს.

პირველ საკითხზე ამ წერილში ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან მის დადებითად გადასაჭრელად ამ ჟამად მუშაობს იუსტისხეობი და ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ გამარტივებული საპროცესო კოდექსები გვექნება, რითაც უდაოა სასამართლოს ცხოვრებაში დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული წინ.

რაც შეეხება მეორე საკითხს — ის დღევანდელ პირობებში აქტუალურად უნდა ჩაითვალოს, რადგან პირად შემადგენლობიდანაა სავესებით დამოკიდებული აპარატში საქმის მოწყობილება; რამდენათ უკეთ არის შერჩეული აპარატის შემადგენლობა იმდენათ მეტია შემადგენლობა ჩვენი აპარატის თანამგზავრების — ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების — ამოსახეზრელად, იმდენათ უფრო სწრაფად და ადვილათ მოეწყობა აპარატი მშრომელთა ფართო მასების ქვეშაირი სამსახურის გაწევისათვის.

ჩვენი სასამართლო პროლეტარატიის დიქტატურის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანის შესრულებას მხოლოდ მაშინ შესძლებს, როდესაც მისი პირადი შემადგენლობა წესიერად და სწორათ, ლენინურათ იქნება შერჩეული. მე-18 ტომის 1 ნაწილში 352—353 გვერდზე ვლადიმერ ილიას ძე ამბობს: წერა-კითხვის უცოდინარობას უნდა ვებრძოდეთ, მაგრამ მართო წერა-კითხვის ცოდნა არ არის საკმარისი, არამედ საქირაო ის კულტურა, რომელიც გავსწავლის ჩვენ საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას“. უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენი სასამართლოების პირადი შემადგენლობის შერჩევის დროს არა თუ ექცევა ყურადღება კულტურისათვის, მუშაკების საერთო განვითარებას — არამედ უბრალო წერა-კითხვის ცოდნასაც კი არ ეწევა ანგარიში; იმ პირთა საკმაო რაოდენობას, რომლებიც არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას — სამუშაოთ სახალხო მოსამართლისა და უფრო მაღალი თანამდებობა უჭირავთ. სასამართლოს აპარატის პირადი შემადგენლობის შერჩევის საკითხისადმი ამგვარად მიდგომა უსათუოთ საზი.ნოა და არ შეესაბამება ჩვენი პარტიის მოთხოვნილებას, რადგან ასეთი მიდგომით აპარატი არა თუ შესძლებს ჩვენი ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივობის შესრულებას, არამედ მისთვის მათი სწორი შინაარსის გავებაც კი საძნელო იქნება; უწყისრიგო, განუვითარებელი სასამართლოს მუშაკი ვერ შესძლებს პროლე-

ტარულ სახელმწიფოში სასამართლოს მუშაობის ნამდვილ აზრისა და შინაარსის გაგებას. როდესაც მოსამართლე სასამართლოს სხდომაზე ისე გამოდის, რომ საქმეებს არ იცნობს და მას ამის გამო ხან სიყვითლე მოუარს, ხან სიწითლე და დაბნეული მისი გონება ჰაერში ფრინვას დაიწყებს—მაშინ ასეთი მოსამართლე არა თუ დახმარებას გაუწევს საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ სახელს უტეხს მას წმინდელთა ფართო მასის თვალში. ილიჩი თავის წერილში „სჯობს ცოტა, მხოლოდ უკეთესი“ (მე-18 ტომი ნაწ. 2 გვ. 118) ამბობს: „ჩვენ უკვე ხუთი წელია ვცდილობთ ჩვენა' სახელმწიფოებრივი აპარატის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ეს მართლაც, რომ ცოდვილობაა, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში დაამტკიცა მხოლოდ თავისი უფარვისობა, ან და თავის უსარგებლობა, ან და თავის მავნებლობა; როგორც ცოდვილობა ის ჩვენ გვაჩვენებდა თითქოს ნამუშევარის შედეგს, სინამდვილეში კი მხოლოდ ანაგვიანებდა ჩვენს დაწესებულებებს და ჩვენს აზროვნებებს. ბოლოს და ბოლოს საჭიროა, რომ ყველაფერი ეს შეიცვალოს“.

პირველ ხანებში უფრო ადვილი იყო ჩვენს სასამართლოებში მუშაობას წარმოება, რადგან რევოლიუციურ უფლებამოსეების საფუძველზე ხალხის გასამართლება რომელსაც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მომენტის მნიშვნელობა ქონდა ყველა მშრომელს შეეძლო; ხოლო ეხლა კი, რაც, რომ ჩვენი კანონმდებლობა ძალზე განვითარდა, გართულდა და ცხოვრებას გივანტური ნაბიჯით მივდევთ, როდესაც მოსამართლეს კარგათ უნდა ესმოდეს მთელი სირთულე თანამედროვე მომენტისა, როდესაც ამის გამო საჭიროა სათანადო ცოდნა პოლიტიკისა და უფლებების დარგში, რადგან ლენინი ამბობს, რომ „შეუძლებელია კომუნისმის შენება—ცოდნის მარაგის გარეშე“, როდესაც საჭიროა მუშაობაში განსაკუთრებული მოქნილობა—მაშინ უკვე 1923-24 წლების მოსამართლე აღარ გამოდგება. სარგებლობის მაგიერ, ასეთი მოსამართლე მხოლოდ მავნებლობას მოიტანს, სასამართლო ასეთი მოსამართლით მასების აღზრდელ იარაღების ნაცვლად—ამ მასების აღზრდის შემფერხებელ იარაღად იქცევა.

ზემოთ ნათქვამიდან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, თითქოს ჩვენი სასამართლოების პირადი შემადგენლობა მუშებისა და გლეხების გარეშე, სხვა წრეებიდან უნდა იქნეს შევსებული. ასეთი შეხედულება სავსებით უსწორო იქნებოდა, რადგან ის არ შეესაბამება ლენინის მისი ცნებას, ასეთი შეხედულება ანტი-ლენინურია. მოსამართლის თანამდებობაზე მოწვეული უნდა იქნეს კომუნისტები, მუშები და გლეხები; მაგრამ აქ თავის-თავად ისმება საკითხი თუ როგორი კომუნისტები და როგორი მუშები და გლეხები უნდა ჩავაბათ სასამართლოში სამუშაოდ. პასუხისათვის ისევ ლენინს მივმართოთ. ის ამბობდა: (მე-18 ტ. მე-2 ნაწ.) „ჩვენ იმგვარად უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ის კომუნისტები, რომლებიც გვყვანან წესიერათ იქნენ განაწილებული. საჭიროა, რომ ამ კომუნისტებს ხელთ-ქონდეთ მთელი ის აპარატი, რომელშიც არიან დაყენებული და არა პირიქით, როგორც ეს ხშირათ ხდება ჩვენში. როდესაც ამ აპარატს თვით ყვეთ ხელთ ისინი“. ჩვენ სასამართლოს ცხოვრებაში არ არის ცოტა

ისეთი მაგალითი, როდესაც ამა თუ იმ სასამართლოს ხელმძღვანელი მარტო „ფიგურაა“ და მეტი არაფერი, ის ხელმძღვანელია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადგილზე დასვეს და ამის მეტი თითქმის არაფერი არ იცის; ასეთ კომუნისტებს, მუშებსა და გლეხებს ნამდვილათ მართავს მისი მუდამ უფარვისი აპარატი და მუშურგლებური ხელისუფლების მთელი იდეები ამ გვარ მუშაკების ხელმძღვანელობის წყალობით—არარაობათ იქცევა. ჩვენს პრაქტიკაში ბევრია შემთხვევა, როდესაც სასამართლოში იგზავნება სრულიად გამოუცდელი და თავის დანიშნულებისათვის შეუსაბამო ამხანაგები, როგორც სახალხო მოსამართლის ისე უფრო მაღალ თანამდებობაზე. ასეთი მოვლენა ხომ მთლიანად ეწინააღმდეგება ლენინის მოსაზრებას, რომელიც გვეუბნება: „ჩვენ იმგვარად უნდა მოვაწყოთ მთელი ჩვენი ორგანიზაცია, რომ კომუნისტურ წამოწყებათ საფუძველათ არ ყავდეთ ისეთი ხალხი, რომელთაც არა აქვთ გამოცდილება ამ დარგში“. ამრიგათ ჩვენი სასამართლოების პირადი შემადგენლობა იმისათვის, რომ მას შეეძლოს პროლეტარული სასამართლოს ამოცანის შესრულება უნდა შესდგებოდეს პირველად ყოვლისა იმ საუკეთესო პირთაგან, რომლებიც კი მოიპოვება ჩვენ სოციალურ წყობილებაში ე. ი. უკეთეს პოლიტიკურად მომზადებულ და კულტურულ კონუნისტების, მუშებისა და გლეხებისაგან; ამასთანავე ეს მუშაკები მოსამართლის თანამდებობაზე უნდა გაიგზავნონ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სათანადოთ მოემზადებიან და გაივლიან ერთგვარ სტაჟს ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობის დასაქმრათ. მხოლოდ ამ გვარ გლეხებისა და მუშებისაგან გამოვლენ ნამდვილი პროლეტარული მოსამართლენი, ჩვენი სასამართლოების ვარგისი ხელმძღვანელები.

(გაგრძელება იქნება).

ალ. კაპარავა.

**მშრომელ ეგრაველთა მიწად-მოაწყობი საზოგადოება**  
(„მემისი“)

ძველი რუსეთი აგებული იყო ერთა უთანასწორობისა და ძალმომრეობის პრინციპებზე. მეფის მთავრობა და მაშინდელი ბატონ-პატრონები ხელოვნურად ჰქმნიდენ ერთა შორის სიმძულვარეს და შულს. გრძობდენ რა, რომ რევოლიუციის ტალღები თანდათან ძლიერდებოდენ, რის გამო მათი დღეები დათვლილი იყო, ამიტომ ცდილობდენ კლასობრივი ბრძოლის შინაარსი შეეცვალათ ეროვნული ბრძოლით. ამაში ისინი ძლიერ დახლოვდებულენ იყვენ. სამუდამო-წაურეცხელ ისტორიულ ლაქად დააჩნდებათ კიშინევის დარბევა, ბეილისის პროცესი და ათასი „პოგრომები“—ასაათასობრავ მსხვერპლით. განსაკუთრებით ებრავლობა ჰყავდა ცარიზმს საშინელ, მონურ მდგომარეობაში ჩაყენებული. მათ შემოუფარგლეს საცხოვრებელი ადგილი (черта оседлости). მათთვის შემოიღეს სამსახურში, სასწავლებლებში პროცენტული ნორმები. ვინ აღირსებდა ამ ხალხს—მეფის მთავრობის დროს—მიწაზე გადასვლას? ერთი სიტყვიო, ვიდრე არსებობდენ შავი ყორნები შულგინები, შვაკოვები, ჰურიშკევიჩები და ძმა-

ნი მათნი—გაბატონებული იყო კაციკამიობის პოლიტიკა. სამოქალაქო ომის დროსაც შეუგნებელი მასისათვის მათ დამხადებული ჰქონდათ ლოზუნგი: „Бей жидов, спасай Россию“ და თავის დროზე კიდევ მოიღრწა უკრაინის ველები უდანაშაულო ხალხის ზღვა სისხლით.

მაგრამ ეს იყო წინედ. ოქტომბერმა საზღვარი გაავლო ძველსა და ახალს შორის. საბჭოთა მთავრობამ პირველად წამოაყენა უდიდესი პრობლემა—მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობა. ეს აუცილებელი შეიქნა განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ, როდესაც სტიქიურად დაიწყო ებრაელთა მასების დეკლასირების პროცესი უკრაინაში, ბელორუსიაში და შეიძლება ითქვას საქართველოშიაც. გამოეცალა რა მათ არსებობას ეკონომიური საფუძვლები მივიდნენ კატასტროფის კარზე.

საკირო იყო ახალი გზების ძებნა. ამიტომაც საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა ებრაელთა ფართო მასების საწარმოო შრომაზე გადაყვანა. 1924 წლის 29 აგვისტოს ს. ს. რ. კ. ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმთან - სსრკ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით—შეიქმნა მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის კომიტეტი (კომბეტე). ამ კომიტეტმა დაისახა მიზნად მთელი რიგი წლების განმავლობაში გადაიყვანოს სასოფლო მეურნეობაზე 100.000 ოჯახი. დღემდე უკვე გადასახლებულია 16.000 ოჯახი, დაახლოებით 83.000 სული. ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირე დროს, რომლის განმავლობაში იქნა ჩატარებული ეს მუშაობა.

ყირიმში, ხერსონის გუბერნიაში, უკრაინაში და შორეულ აღმოსავლეთში (ბირო-ბიჯანი) საფუძველი ეყრება ებრაელ სოფელს, ებრაულ კალონიას და დღეს ებრაელი გლეხი სრულიადაც აღარ წარმოადგენს იშვიათობას. საქართველოშიაც, სულ უახლოეს ხანში ჩვენ გვექნება პირველი სოფელი ებრაელი მიწის მუშებით. მთავრობამ უკვე გამოჰყო სათანადო რაოდენობის მიწები წითელგორაზე (კახეთში), სადაც მუშაობა დაწყებულია ამ საკითხის პრაქტიკულად მოსაგვარებლად.

ამ დიდ პრობლემას დასახმარებლად გამოეხმარა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. 1925 წ. 17 იანვარს ქ. მოსკოვში, მთელი რიგი პარტიულ და უპარტიო საზოგადოებრივი მუშაკების ინიციატივით მოეწყო საკავშირო მშრომელ ებრაელთა მიწად-მოწყობის საზოგადოება („ოზეტ“-რუსულად).

მემსი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობის ორგანიზაცია, მიზნად ისახავს მობილიზაცია გაუქეთოს საზოგადოებრივ თვისსაქმიანობას, გააერთიანოს ღარიბ ებრაელთა მიწადმოწყობის ყველ აქტიური მეგობრები ყველა, ვინც მზად არის ასეთი ისე დაეხმაროს საბჭოთა მთავრობის დიად დახაწყისის განხორციელებას ებრაელთა მასების გაჯანსაღებისათვის და საწარმოო მიწადმოქმედების შრომისაკენ მიზიდვისათვის.

ამჟამად მემსს აქვს 500 განყოფილებამდე 100.000 წევრით.

საქართველოშიაც დაარსებულია ასეთი განყოფილებები (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ფოთი). ტფილისის საზოგადოებას მთელ რიგ მსხვილ დაწესებულებებში და წარმოებებში მოწყობილი აქვს თავისი უჯრედები.

იუსტიციის სახალხო კომისარიატშიაც გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ამ უჯრედის დასაარსებლად. ჩვენ ღრმა რწმენას გამოვსთქვამთ, რომ წითელი იუსტიციის მუშაკების წრეში ამ უჯრედის დაარსება ჰპოვებს მხურვალე გამოძახილს, რასაც დაამტკიცებენ ამ საზოგადოებაში მასიური შესვლით და აქტიური მონაწილეობის მიღებით.

გერცელ ბააზოვი.

### დამცველთა კოლეგიის ჩამორგანიზაციის შესახებ

დღემდე უფლებას დაცვა წარმოებს კერძო ინდივიდუალური ფორმით დამყარებული კერძო მესაკუთრეობის სისტემაზე, რაც დამცველთა კოლეგიის შემკვიდრებით აქვს მიღებული ძველი კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წესწყობილების დროის ადვოკატურიდან და მიუხედავად 11 წლის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების არსებობისა ამ სისტემაში არავითარი რეალური ცვლილება არ შეტანილა. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად დღით დღე იზრდება და მტკიცდება, ის ყოველ ფრონტზე დევნის ინდივიდუალურ ფორმას, კერძო მესაკუთრეობას და მას შემოაქვს, როგორც ქალაქის წარმოებაში, ისე სოფლის მეურნეობაში საბჭოთა სისტემის ახალი გაერთიანებული შრომის ეორმები, არტელი, კოლექტივი და სხვა.

თუმცა ბურჟუაზიული ქვეყნები მალავენ, მაგრამ ჩვენ კი ყველას გასაგონებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი სასამართლო არის საბჭოთა სახელმწიფოს ერთ ერთი აპარატურაგანი, რომელიც იცავს ამ სახელმწიფოს მართველი, მშრომელი კლასის ინტერესებს; ამასვე ღალადებს საბჭოთა სახელმწიფოს რევოლუციური კანონიერება, ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანი როლი სასამართლოში და კანონიერებაში, როგორიცაა დაცვა უჭირავს ისეთი წრეს, რომლის დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია მარტოოდენ ინდივიდუალური გრძნობებით, კერძო მესაკუთრეობის ნიადაგზე, რომლებსაც შესისხლხორცებული აქვს ძველი მეთოდი და ფსიხოლოგია. რასაკვირველია ადვოკატურის მოღვაწეობა ასეთი სახით და მეთოდით არსებითად არ ეგუება მშრომელთა ინტერესების მოთხოვნილებას, საბჭოთა სასამართლოს და რევოლუციურ კანონიერებას. თუმცა დამცველთა კოლეგიის ზედაფენები საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ისინი „სოციალიზმს ახორციელებენ“, მშრომელთა ინტერესებს მედგრად იცავენ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის დროსაც ატარებენ, მაგრამ იუსტ-სახკომისარიატს ამის გარღმავების საშუალებას არ ძღვევენ. ერთის მხრივ ის ფორმა და მეთოდი დაცვისა, რომელიც მათ შემკვიდრებით ძველი კაპიტალისტური წესწყობილების დროის ადვოკატურიდან გადმოიტანეს, რასაც დღემდე მტკიცედ იცავენ და მეორეს მხრივ ის, რომ თავდადებულად იბრძვიან გაერთიანებული შრომის ყოველგვარი ახალი საბჭოთა ფორმების წინააღმდეგ და იუსტსახკომისარიატის მიერ წამოყენებულ ახალ ფორმებს „ქვაბიზმს“ უწოდებენ, განა აშკარად არ ამტკიცებს რომ მათ ხელში უჭირავთ არა საზოგადოების მოღვაწე-

ობის დროშა, არამედ დროშა ჩერვონცებისა და განუსაზღვრელი მყვლეფელობისა? ვისთვის არის სადავო ის, რომ დღევანდელი ადვოკატურის „მოღვაწეობის“ მეთოდის დამიხედვით დაცვა მას აქვს, ვისაც მეტი ჰონორარის გაღება შეუძლია? განა სასამართლოს დარგში მომუშავეებმა არ იციან, რომ სახაზინო დაცვა იმ პირების, რომლებსაც დამცველის დაქირავების საშუალება არა აქვს, მეტად კაზიონურია, ყოველგვარ ინციატივას და სურვილს მოკლებული, რომ დამცველთა კოლეგიის „ზედაფენები“ თავიანთი სახაზინო დაცვის ჯერის დროს დამცველად აგზავნიან ეკონომიურად მათზე დამოკიდებულ დამცველთა კოლეგიის წევრებს? და საერთოდ, ნაცვლად იმისა, რომ გაუწიონ დახმარება სასამართლოს, რათა ყოველმხრივ გაშუქებული იქნეს საქმე და სისწორით შეფარდებული კანონი. სარგებლობენ რა დამცველები ჩვენი სასამართლოების მუშურ ელემენტების შემადგენლობით, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი განათლება, შეჰყავთ შეცდომაში სხვა და სხვა ფორმალური ხრიკებით და სასამართლოში ჰქმნიან დაუშვებელ ვოლოკიტას.

არც ის გარემოება შეიცავს დიდ საიდუმლოებას, რომ ნაწილი დღევანდელ დამცველთა კოლეგიის წევრებისა თავიანთ მუშაობას აწარმოებენ აგენტებისა და მაკლერების საშუალებებით, რასაც აქვს წმინდა ჩარჩული ხასიათი. თავის თავად ცხადია, რომ ყოველივე ზემოთ მოყვანილი გარემოებანი სასამართლოში ჰქმნის დაცვის უთანასწორობას და ავტორიტეტს უკარავს საბჭოთა სახალხო სასამართლოს და ასეთი მუშაობის მეთოდით დამცველთა კოლეგიამ სრულიად სამართლიანად დაიმსახურა უნდობლობა და ჩარჩული დამცველობის სახელის წოდება მშრომელთა მასაში.

თანამედროვე ხანაში ეკონომიკის და კულტურის სოციალისტურ ფორმებში განვითარების დროს ყოველგვარ კერძო ინდივიდუალურ ფორმებს და მეთოდებს არსებობის ნიადაგი ეცლება, სწყდება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სისტემას, და თუ დროზე არ ჩამოაყალიბა თავისი მუშაობა გაერთიანებული შრომის ახალ საბჭოთა ფორმებში, ის ძალაუვნებლიედ გადაიბარება ხელისუფლების და მშრომელი საზოგადოების მოწინააღმდეგე ბანაკში. ასეთია დღევანდელ სინამდვილეში დამცველთა კოლეგიის მდგომარეობა საქართველოში. დამცველთა კოლეგია თავისი მუშაობის ძველი მეთოდით ჩამორჩა საბჭოთა ეკონომიკის და კულტურის განვითარების ფორმებს და მოემწყვდია ჩაბნობა, რაც ლენინგრადის დამცველთა კოლეგიამ თავის წევრების გაერთიანებულ კრებაზე აშკარად აღიარა და ერთხმად უარჰყო კერძო ინდივიდუალური დაცვის მეთოდი. ასეთივე გადაამჭრელი ნაბიჯი გადადგა აგრეთვე უკრაინის დამცველთა კოლეგიამ დაცვის კერძო კაბინეტების წინააღმდეგ და მთელ რიგ უკრაინის გუბერნიებში ჩამოაყალიბა დამცველთა გაერთიანებულ შრომის ახალი ფორმები-კოლექტივის სახით. დროა ჩვენმა დამცველთა კოლეგიამაც გადადგას ასეთი ნაბიჯი ჩარჩულ ინდივიდუალური დაცვის მეთოდის გასაუქმებლად და ახალ გაერთიანებული შრომის სისტემის შემოსაღებლად, რომლისათვისაც საჭიროა დამცველთა კოლეგიის შეგნებულმა წევრებმა დაადწინონ თავი

ზოგიერთ გამდიდრების გრძნობით გატაცებული წევრების „ზედაფენების“ ეკონომიურად დამოკიდებულებას, ძველ დახვეწებული ეთიკურ გრძნობებს და ფსიხოლოგიას, შეუდგენ ახალა გაერთიანებული შრომის ფორმების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას და წინ აღუდგენ კერძო ინდივიდუალური ჩარჩულ დამცველობის მიმდევრებს.

ს. ქავთარაძე

**დამცველთა კოლეგიის კოლექტიურად მოწყობისათვის 1)**

საბჭოთა სასამართლოს ყოველი დარგი, მისი ახალი შინაარსით თავსდება ახალ ჩარჩოებში. ახალი სამართლის შენობის ერთ-ერთ სართულს კი დამცველთა კოლეგიაც წარმოადგენს. ხოლო დამცველთა ინსტიტუტი, რომ გახდეს სოციალისტური სამართლის „ერთ ერთ ღირს შესანიშნავ ნაწილათ“, საჭიროა მისი გადახალისება. მაგრამ რა სახით? რა ყალიბის მიცემით? აი საკითხი, რომელიც დღეს რადიკალურათ გადაჭრას მოითხოვს.

ერთ-ერთ ფორმათ დამცველთა კოლეგიის საბჭოთა სამართალთან შესაგუებლად, დასახელებულია მისი ვაკოლექტივება. ეს აზრი წამოიჭრა წარსული წლის დეკემბერში ტფილისის მეორე საკონსულტაციო კამერაში. ბიუროს ინიციატივით მოწვეულ საზოგადო კრებას 40 კაცამდე დაესწრო, რომელმაც სპეციალ კომისიას მიანდო სამი პროექტი დასამუშავებლათ. კომისიამ იმუშავა თითქმის ერთი თვე და ბოლოს საზოგადო კრებითვე დადსტურებული წარუდგინა კოლეგიის პრეზიდენტს ერთი პროექტი, რომელმაც საბოლოო დასკვნისათვის გადასცა იუსტსახკომის საკანონმდებლო განყოფილებას. აღნიშნული პროექტი იმავე მიზანს ისახავდა, რასაც მის შემდეგ გამოქვეყნებული ყველა პროექტები; მხოლოდ მას საფუძვლათ დაედო ნებაყოფლობითი პრინციპი. ამ პროექტით ყოველ საკონსულტაციო ბიუროსთან არსდებოდა კოლექტივი, წევრთა ნებაყოფლობით შესვლით. ამ კოლექტივებს ეკისრებოდა უფასო და ფასიანი საქმეების აღება, შრომისა და ხელფასის თანაბარი განაწილებით, იუსტსახკომის მიერ გამომუშავებულ ნიხრით და დ. კ. პრეზიდენტის ზედამხედველობათ. ი. ვარძიელის გამოქვეყნებული თეზისები (ე. „საბ. სამ.“ № 13; მოქ. ტერგრიგარიანს ბროშიურის სქემა, ვანო მაისურაძის წერილის მოსაზრებანი და სხვანი მოზრენი არიან კოლექტივის ცენტრალისტურ პრინციპზე და იძულებითი ხასიათზე მოწყობისა. ერთი სიტყვით არა ნებაყოფლობითი კოლექტივიზაცია არამედ — სავალდებულო წევრობა. ალბათ კლიენტებისათვისაც სავალდებულო იქნება მიმართოს დამცველს რიგის მიხედვით და არა არჩევის უფლებით. მოქ. გრიგ. გიორგაძე (ეურნ. „საბ. სამ.“ № 19) მომხრეა ისეთი „ნადის“ როგორსაც დღეს სხვა და სხვა ხელოსნები აარსებენ. ისიც აღიარებს ნებაყოფლობითი პრინციპის ნადის დაარსებას და სავალდებულო კოლექტივიზაციის წინააღმდეგია. ი. ტალახაძე გამოსთქვამს კოლექტივის აუცილებელ დაარსების ზოგად აზრებს.

1) წინადადების სახით.

როგორია დამცველთა მასის შეხედულება ამ საკითხზე? უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა მოპირდა კოლექტივების და პრაქტიკულ რაციონალიზაციის და ფორმების „ძიების პროცესშია“. უდავოა რომ კოლექტივიში დიდი საკაცობრიო იდეალია, აქეთ უნდა მიიღწეოდეს ყოველი პატიოსანი და გონიერი მშრომელი. დამცველთა უმრავლესობამ ეს კარგათ იცის, და ამის წინააღმდეგ არ ფიქრობ შეგხვდეთ გარდაუვალ წინააღმდეგობას. დამცველთა კოლექტივის გაკოლექტივება, საგრძნობლათ განავითარებს არსებულ კონსულტაციების უფასო იურიდიულ დახმარებას; ის ასწევს ხალხისა და სასამართლოს თვალში დამცველთა კორპორაციის პრესტიჟს; ის მოსპობს აგენტურასა და არა ლეგალურ ადვოკატურას. ის დაახლოვებს დამცველთა კორპორაციას საბჭოთა სამართლის სხვა და სხვა დარგებთან. ის ხელს შეუწყობს, დამცველთა შრომისა და ხელფასის რაციონალურათ განაწილებას. ამით ის შეისძლებს მეტათ იმოღვაწეოს საბჭოთა კანონმდებლობის განმტკიცებისათვის და სწორი მართლმსაჯულების დამყარებისათვის

ამიტომ საჭიროა და დროც არის შეუდგეთ ჩვენს დარგის გაკოლექტივებასაც, მაგრამ ჯერ წინასწარ უნდა გაირკვეს და დამუშავდეს შემდეგი საკითხები:

- 1) როგორ მოგვარდება თვით მომხმარებლის, (კლიენტ-ს) თავის ინტერესების დამცველის ამორჩევაზე გემო სურვილის საკითხი? 2) აგებს თუ არა პასუხს კოლექტივის გამგეობა, მის მიერ რიგით მიწოდებულ დამცველის ვარგისიანობაზე? 3) როგორ ავიცილოთ შაბლონურათ დანიშნულ დამცველთა დაცვის მოსალოდნელობა? 4) ცენტრალური უნდა იქნეს თუ უბნა-უბნა და ავტონომიური კოლექტივის გამგეობანი? 5) მიიღებიან თუ არა კოლექტივში იურისკონსულტები? 6) როგორ მოგვარდება დაცვის მიწოდების სისწრაფე? 7) რამდენ კატეგორიით გაიყოფა დამცველთა კადრი? 8) ვისი კრიტერიუმი შეაფასებს ამა თუ იმ დაცვას? 9) ვინ დასწევს უკან ყოფილ „მავნატს“ შემდეგში ჩამორჩენილს? 10) ვინ წასწევს წინ წარმატებით დაწინაურებულ დამცველს? 11) რა საზომებით გაიზრდება ამა თუ იმ დაცვის ხელფასი? საქმის სირთულით, დახარჯული დროით; სტაჟ-გამოცდილებით; თუ ცოდნა უნარით? 12) რა დაჯდება ვარაუდით მთელი საქმის წარმოების შტატი. და გაამართლებს თუ არა შემოსავალი შტატის გასავალსაც და ხელფასაც? 13) არის თუ არა პერსპექტივები დამცველთა საშვალო ხელფასით მანც უზრუნველყოფასა?

ერთი სიტყვით საჭიროა, როგორც სასამართლოსა და კლიენტურის ინტერესების გათვალისწინება, ისე თვით კოლექტივის ეკონომიური პრინციპის წინასწარი განჭვრეტა. ამისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა საკმაოდ გამობრძედილ პიროვნებათა კომისიის შედგენა, რომელსაც მიენდობა კოლექტივის ყოველმხრივი შესწავლა და საზოგადო კრებაზე წესდების წარმოდგენა. სიტყვა ჩვენს პრეზიდენტს ეკუთვნის.

**კაპიტონ ბაქრაძე.**

**მოპასუხენი სოლიდარულ პასუხისმგებლობის სარჩელზე\*)**

(ა. მიტკევიჩის წერილის გამო, ე. „საბჭოთა სამართალი“ № 20).

ერთსა და იმავე ვალდებულებაში შეუძლიათ მონაწილეობდეს როგორც კრედიტორის მხრით, ისე მოვალის ანუ დებიტორის მხრით რამდენიმე პირი.

თუ რამდენიმე კრედიტორიდან თითოეულს აქვს უფლება მოითხოვოს ვალდებულების ასრულება, მაშინ ასეთ კრედიტორებს ეწოდება სოლიდარული კრედიტორები. აგრეთვე თუ რამდენიმე მოვალისაგან თითოეული ვალდებულია იკისროს მთლიანად ვალდებულება კრედიტორის წინაშე, ასეთ მოვალეებს ეწოდება სოლიდარული მოვალენი.

მოქმედი სამოქ. სამ. კოდ. სოლიდარულ პასუხისმგებლობას განმარტავს 115 მუხლით, რომლის აზრითაც ყოველშემთხვევაში კი არ იგულისხმება, სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა ერთ მხარეზე რამდენიმე პირია, არამედ ეს უნდა იყოს ან დამყარებული კანონით (მაგ. 240, 241, 408 მუხ. სამ. კოდ. და მე-9 მუხ. სათამასუქო დებულებისა) ან და უნდა იყოს მოხსენებული მხარეთა წერილობითი ხელშეკრულებაში. სოლიდარობა, შეკრავს რა ერთი მხრით მოვალეთა რამდენიმე პარს, წესდება, მყარდება, მოწინააღმდეგე მხარეთა ინტერესებისათვის და მათ სასარგებლოთ, ამიტომ აუცილებლათ უნდა ჩაითვალოს, რომ თავის ინტერესების და სარგებლობისათვის კრედიტორს, სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს, სამ. კოდ. 115 მუხ. ძალით უფლება აქვს აღძრას სარჩელი, როგორც ცალკე ერთის მიმართ ისე რამდენიმეს წინააღმდეგ ერთათ; (აგრეთვე პროტესტში გაუშვას თამასუქი ერთის წინააღმდეგაც და ყველა თამასუქის გამცემის მიმართ). ამ შემთხვევაში სოლიდარულ მოვალეთა მიმართ, რომლის წინააღმდეგაც სარჩელი მიმართული არ არის, კრედიტორი უნდა ჩაითვალოს თავის უფლების უარის მყოფელათ. ამის გამო მას აღარ ექნება უფლება აღძრას დამატებითი სარჩელი, მის განვე განთავისუფლებულ მოვალეთა მიმართ.

მოქ. ა. მიტკევიჩის, ამის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებანი, რომ ვითომდა „კრედიტორი, სოლიდარულ პასუხისმგებლობის დროს ვალდებულია აღძრას სარჩელი, ყველა სოლიდარ მოპასუხის მიმართ (და გააპროტესტოს თამასუქი ყველა თამასუქის გამცემის მიმართ) და უფლება აქვს მხოლოდ მიაქციოს გადახდევინება ერთის ან ყველასადმი თავის სურვილის მიხედვითო“, — არა თუ გამოძინარეობს სამ. სამ. კოდ. 115 მუხლის შინაარსიდან, არამედ ეწინააღმდეგება კიდევაც ამ მუხლის მე II ნაწილს. ამ მუხლის მეორე ნაწილში, გარკვეულათაანათქვამი, რომ სოლიდარულ ვალდებულებისას კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულება, როგორც ყველა მოვალისაგან ერთობლივ ისე თითოეულისგან ცალკეო: ამ შემთხვევაში სიტყვა „მოთხოვნა“ უნდა გვესმოდეს, სასამართლოში მოთხოვნის აზრით ე. ი. სარჩელის აღძვრათ.

\*) დისკუსიის წესით.



სხვანაირი განმარტება სამ. სამ. კოდ 115 მუხლისა, აგრეთვე ა. მიტყევიჩის განმარტება ეწინააღმდეგება ამ მუხლის ზუსტს გაგებას და აგრეთვე იმ მიზანსაც, რომელსაც ემსახურება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა უფლება: დაამყაროს სოლიდარობა თავის ინტერესებისა და ვალის განაღდებას ხერხეულობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში კი სოლიდარული ვალდებულება გადაიქცეოდა ზოვალეთათვის საქმის გაჭიანურების (Волокита) საშვალბათ.

**ს. თარხანოვი.**

**მომრიგებელი კამერატი და სამედიცინო-რო სასამართლოები<sup>1)</sup>**

მომრიგებელ კამერატა სტრუქტურაში ცვლილებები არ არის შეტანილი. ორგანიზაციის მოქმედების და ზედამხედველობის წესი სამომრიგებლო-სამედიცინო ორგანოებისა განისაზღვრება საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივებით; უკანასკნელი — კავშირის კონსტიტუციის მიხედვით გაერთიანებული სახალხო კომისარიატია, რომლის კომპეტენციაში შედის ხელშეწყობის გაწევა მოკავშირე შრომის სახალხო კომისარიატებისათვის კონსტიტუციის 49-54 მუხ.

მომრიგებელი კამერები თვითიუღ კონკრეტულ შემთხვევებში ყალიბდება პროფესიონალური კავშირისა და დამკირავებულთა განსაკუთრებული შეთანხმებებით, რომლებიც განიხილავენ მათ შორის აღმოცენებულ ცალკე შრომის კონფლიქტებს.

მომრიგებელი კამერები შესაძლოა მოეწყოს უშუალოდ საკავშირო შრომის სახ. კომისარიატში. უკანასკნელი განიხილავს ისეთ კატეგორიის კონფლიქტებს, რომელთაც საკავშირო მნიშვნელობის ხასიათი აქვს და რომლებიც უშუალოდ ეხებიან საერთო საკავშირო საწარმოებს და დაწესებულებებს.

მომრიგებელ კამერატა გამგებლობას შეადგენენ შემდეგი საკითხები:

ა) ყველა კონფლიქტი რომელიც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულების დადების, შეცვლის, დამატების, განმარტების და ცვლილების გამო აღმოცენებულ დავას.

ბ) ის საქმეები, რომლებიც ირჩეოდა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებში და უკანასკნელში ვერ იქნა გადაჭრილი და რომლებიც ეხებიან შრომის ახალ პირობების დაწესებას.

ლარინის პროექტის განხილვისას გამოთქმული იყო მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ გაუქმებულ ყოფილიყო მომრიგებელ კამერატა ინსტიტუტი. აღნიშნული მოსაზრებანი საუფუძლიანი იყო, რადგან პრაქტიკა აღნიშნულ ორგანოს მუშაობისა ადასტურებს მომრიგებელ კამერატა მუშაობის არარაობას. უკანასკნელნი მიზანს ვერასდროს ვერ აღწევენ, საქმე კი ჭიანურდება, რადგან დავა იქ მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წყდება. საწარმო და დაწესებულებათა უჯრედებში წამოყენებულ დავის განხილვათა დროს, როდესაც შეთანხმება მხარეებს შორის არ ხდება, უკანასკნელთა განსაზღვრული აზრი აქვთ

და კონფლიქტთა მორიგების გარჩევისას ისინი ბოლომდე იცავენ თავის პოზიციას მით უმეტეს, რომ ახალი წესების მიხედვით (მუხ. 32) საპედიატორო სასამართლოები იხილავენ იგივე კონფლიქტებს, რომელიც მომრიგებელ კამერებში არ ყოფილა გადაჭრილი ან სულაც იქ არ განხილულა.

სამედიცინო სასამართლოების კონსტრუქცია ხასიათდება იმავე ნიშნებით, რითაც ისაზღვრება მომრიგებელ კამერატა ფუნქციები. კონფლიქტების გადაჭრა აღნიშნულ ორგანოში ხდება სათანადო შეთანხმებით პროფესიონალურ კავშირთა და ადმინისტრაციის შორის. განსხვავება მომრიგებელ კამერასა და სამედიცინო სასამართლოს შორის იქაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ კონფლიქტის გადასაჭრელად პროფესიონალურ კავშირთა და სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა შორის სამედიცინო სასამართლო ეწყობა ერთი მხარის განცხადებითაც. ასეო პირობებში სამედიცინო სასამართლოს მიღება მეორე მხარისათვის სავალდებულო ხასიათს ღებულობს.

სამედიცინო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მხარეთა შეთანხმებით, ე. ი. სამომრიგებლო წესით, ხოლო შეუთანხმებლობის მომენტში-თავმჯდომარის (სუპერარბიტრის) დადგენილებით, აღსრულების წესები და ფორმები შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების, მომრიგებელ კამერების და სამედიცინო სასამართლოებისა რადიკალურად შეცვლილია. აღნიშნულ ორგანოების გადაწყვეტილებანი არ განისაჩივრებიან (შრ. კან. კოდ. 173-174 მუხ.) და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებენ.

აღნიშნულ ორგანოთა გადაწყვეტილებათა გაუქმება შესაძლოა მხოლოდ შრომის ორგანოების ხაზით ზედამხედველობის წესისაშკაპ. ზედამხედველობა კონფლიქტებზე, რომლებიც იხილებიან სამომრიგებლო-სამედიცინო წესით ხორციელდება საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.


თუ აქამდე არსებული წესის მიხედვით-კონფლიქტი, რომელიც საკონფლიქტო (შრ. სახ. კომისარიატის) ხაზით მიმდინარეობდა, ფართოთ „სერიზობდა“-ზოგიერთ შემთხვევებში მიდიოდა რა საკავშირო შრომის სახ. კომისარიატამდე და შემდეგ კი იხილებოდა სასამართლო ინსტანციებში, ასეთი გზა ამ ჟამად გადაჭრით უარყოფილია.

კონფლიქტების შემარიგებელი წესით გარჩევის საბოლოო ინსტანციათ ითვლება შრომის ის ორგანოები, რომლებიც უშუალოდ ზედმდგომი არიან. ზედამხედველობა აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე ხორციელდება ერთი ინსტანციის მეშვეობით და არა რამოდენიმე ინსტანციისა, რომლებიც წინად არსებობდა.

რა პირობებში ხდება შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის, მომრიგებელ კამერებისა და სამედიცინო სასამართლოების დადგენილებათა გაუქმება?

გაუქმება ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა მუშაკთა შრომის პირობები უარესდება შრომის კანონმდებლობასთან და კოლექტიურ ხელშეკრულებასთან შედარებით: კანონში დაწესებულ მაქსიმალური ნორმის გარდამეტე-

<sup>1)</sup> იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 21



საარჩევნო  
სისტემა

ბისას, დარღვევის შემთხვევებში სამომრიგებლო-სამედიაცი-  
ტორო წესებისა, უკეთეს დარღვევა ახდენს გავლენას გა-  
დაწყვეტილების არსზე; თუ გადაწყვეტილებას საფუძველად  
დაედო ყალბი დოკუმენტები და ცრუ ჩვენებები, ისეთ  
გარემოების გამოაშკარებისას, რაც აღნიშნულ ინსტან-  
ციებისათვის უცნობი იყო და სხვა.

შრომის ორგანოები ახალი წესების მიხედვით რა-  
მოდენიმეთ ითვისებენ სასამართლო ფუნქციებს.

ახალს შეიცავს აგრეთვე წესების 39 მუხლი, რო-  
მელშიაც შემდეგია დადგენილი: განცხადება სამომრიგე-  
ბლო-სამედიაციტორო გადაწყვეტილებათა ზედამხედველო-  
ბის წესით გაუქმების შესახებ შეიძლება მხარეების მიერ  
მიცემული იქნას 14 დღის ვადაში შემდგარი გადაწყვე-  
ტილების უწყების მიღების დღიდან.

ამავე ხანდაზმულობის ვადით ისახლება განცხა-  
დებანი, მიცემული შრომის ორგანოების იმ დადგენილე-  
ბათა გაუქმების შესახებ, რაც გამოტანილია შემფასებელ-  
საკონფლიქტო კომისიის, მომრიგებელი კამერების და  
სამედიაციტორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ზე-  
დამხედველობის წესით განხილვათა დროს. საკონფლიქტო  
ხაზით ყველა განცხადება უნდა განხილულ იქნეს 7 დღის  
განმავლობაში.

შრომის ორგანოებს რჩება უფლება საკუთარი ინი-  
ციატივით გააუქმოს გადაწყვეტილებანი, გამოტანილი  
სამომრიგებლო-სამედიაციტორო წესით, თუ გადაწყვეტილე-  
ბის გამოტანის დღიდან არ გასულა 3 თვე.

შრომის ორგანოს, თუ მხარეებს შორის შ. საქ. კო-  
მისიაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული და აგრეთვე  
გაუქმებულ საქმეებზე შეუძლია საქმე გადაუზღავნოს იმავე  
შემფასკომს ან შრომის საქმეთა სასამართლოს.

კანონმდებლის მიერ აქ ასეთი ალტერნატივა იმიტომ  
არის დაშვებული, რომ ზოგიერთი კონფლიქტების გადაჭ-  
რა მოითხოვს უახლოეს გარემოებასა და პირობებს, აგ-  
რეთვე საწარმოს და დაწესებულებათა მუშაობის თავისე-  
ბურობის აღრიცხვას და აქედან გამომდინარე ყოველგვარ  
მდგომარეობის გათვალისწინებას.

ახალი კანონში ის დებულება, რომ საქმის ზედა-  
მხედველობის წესისამებრ გაუქმებისას მხარის თხოვნის  
საფუძველით, არ შეჩერდება გადაწყვეტილების სისრულე-  
ში მოყვანა, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა ზედა-  
მხედველობის ორგანო საჭიროთ სცნობს შესრულების  
შეჩერებას (მუხ. 43).

პროკურატურის ზედამხედველობა სამომრიგებელ-  
სამედიაციტორო გარჩევის ორგანოებზე განხორციელდება  
ზოგადი საზედამხედველო წესით. ამასთან დაკავშირებით  
აღნიშნულ ინსტანციათა დადგენილებებზე პროკურატურას  
შეუძლია პროტესტი შეიტანოს გადაწყვეტილებათა აშკა-  
რა უკანონო შემთხვევებში ან როცა პროკურატურის აზ-  
რით (სად არის ზღვარი ამ აზრისა გაუგებარია?) არსე-  
ბითად დარღვეულია სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტე-  
რესები (მუხ. 45).

აღნიშნულ ნორმებში არ არის დაწესებული ხანდაზ-  
მულობის ვადა პროკურატურისათვის. უნდა ვიფიქროთ,

რომ პროკურატურის პროტესტისათვის ზედამხედველობის  
წესით ისე, როგორც შრომის ორგანოებისათვის (მუხ. 41)  
ვადა სამი თვით არის განსაზღვრული.

როგორ ხდება სამომრიგებლო-სამედიაციტორო ორ-  
განოების გადაწყვეტილების შესრულება? როდესაც მშრო-  
მელის ან პროფესიონალური კავშირის სასარგებლოდ  
მისჯილია განსაზღვრული ფულადი თანხა, ასეთი გადა-  
წყვეტილებანი სისრულეში მოიყვანება იძულებით შრომის  
ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, რომელსაც  
აღმასრულებელი ფურცლის ძალა აქვს. კანონში არ არის  
გარკვევით ნათქვამი, შრომის ორგანოების გაცემული  
დოკუმენტები რა ბუნების არიან და რა ფორმაში უნდა  
ჩამოყალიბდეს იძულებითი განკარგულება შრომის ორგა-  
ნოებისა აღსრულების ხაზით.

აქამდე არსებული კანონით საკითხი წყდებოდა შე-  
მფასკომისა ან სხვა რომელიმე მომრიგებელ ორგანოში;  
შემდეგ დასმული უნდა ყოფილიყო სათანადო ვიზა და  
ბოლოს სახალხო სასამართლოს შრომის სესიები გასცემ-  
და სათანადო აღმასრულებელ ფურცელს გადაწყვეტილე-  
ბის სისრულეში იძულებით მოსაყვანათ. აქედან გასაგები  
ხდება შემდეგი: თუ წინად მთელი პროცედურა იყო სა-  
ჭირო სამომრიგებლო-სამედიაციტორო წესით გადაწყვეტილ  
კონფლიქტების შესასრულებლად, ეხლა ეს წესი, როგორც  
ზევით იყო აღნიშნული სრულიად გამარტივებულია და  
სასამართლო ორგანოები თავისუფლდება გარდამეტი მუ-  
შაობისაგან.

გადაწყვეტილებათა დამჭირავებლის მიერ შეუსრუ-  
ლებლობისას შრომის ორგანოებს ევალებათ გადასჭრან  
საკითხი დამჭირავებლის სისხლის სამართლის პასუხის-  
მგებაში მიცემის შესახებ. ამ ფრონტის მიმართულებით  
საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროკურატურამ და სასა-  
მართლოებმა ძალიან ცოტა ვააკეთეს, სისხლის სამართ-  
ლის და მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერებით  
იმ საჭეურნეო და ადმინისტრაციულ პირებზე, რომლებიც  
განზრახ არ აკმაყოფილებენ მუშების სამართლიან მოთხოვ-  
ნებს. პარტიის მე 15 ყრილობა საკმაოდ განსაზღვრავს  
უკანასკნელ საკითხის რაობას: „უყურადღებობის გამოჩე-  
ნა მუშისა და გლეხის მიმართ ადმინისტრაციული, სავაჭ-  
რო, კოოპერატიული ან სამრეწველო აპარატის მხრივ  
განხილულ უნდა იქნან, როგორც საბოტაჟი და ბოროტ-  
მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—დაწეს-  
დეს პასუხისმგებლობა იმ პირთა და ორგანოებისათვის,  
რომლებიც შეაჩერებენ და არ შეასრულებენ მთავრობის  
კანონებს“.

ამ მხრივ აბსოლიუტურად აუცილებელია სასჯელის  
გაძლიერება.

აი ის ზოგადი საფუძვლები, რომლითაც განსაზღვ-  
რულია სამომრიგებლო-სამედიაციტორო ორგანოებში საქ-  
მის გარჩევის წესები.

**6. ვინპარაძე.**

(დასასრული იქნება)

# პრაქტიკოსის შენიშვნები\*) სასამართლოების სესიების მოწყობის შესახებ

უდავო ქვეშარიტებაა ის გარემოება, რომ რეკო-  
ლიუციური კანონიერების განმტკიცებისათვის დიდი მნი-  
შვნელობა აქვს სასამართლოს მშრომელ მასასთან დაახლო-  
ვებას. საკითხი არ არის მარტო იუსტიციის საკითხი; იგი  
ჩვენი ზოგადი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სა-  
კითხოვანია, ამიტომაც არის, რომ იგი პარტიისა და  
ხელისუფლების ყურადღების ცენტრში სდგას და სწორედ  
უმთავრესად ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა ჩვენი  
სასამართლოს სისტემის რეორგანიზაცია. სასამართლოს  
მშრომელ მასასთან დაახლოვების პრაქტიკულად განხორ-  
ციელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებათ უნდა ჩაითვა-  
ლოს სესიების მოწყობა. მიუხედავად ამ საქმის აღნიშნუ-  
ლი მნიშვნელობისა სასამართლოს სესიების მოწყობა  
დღემდე ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული.

სესიების მოწყობა იმ რიგად, რომ მან მიზანს მიახ-  
წიოს, სასამართლოს დამოუკიდებლად არ შეუძლია აქ  
მას გვერდში უნდა ამოუდგენ ადგილობრივი ხელისუფ-  
ლების ორგანოები, როგორცაა სათემო აღმასკომები და  
სათემო კომიტეტები, მაგრამ თემალმასკომება და თემკო-  
მები ამ საკითხს სრულიადაც არ სთვლიან თავიანთ მო-  
ვალეობის საკითხად და ამდენად გულცივად ეპყრობიან  
მას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიუ-  
მართავს თემალმასკომისათვის, რომ ამა და ამ რიცხვებში  
თქვენს თემში ეწყობა სასამართლოს სესიები, რისთვისაც  
სასამართლო სთხოვდა სქდომებისათვის ბინის აღმოჩენას  
და სხვა და სხვა სახის დახმარებას. მაგრამ პასუხად ასე-  
თი მიმართვისა, ისიც სიტყვიერად, მიუღია შემდეგი:  
„აწყობს და მოაწყოსო, ვინ უშლისო“ და სხვა. ერთი  
სიტყვით „ყურიც არ შეუნძრევიათ“. არის ისეთი თემე-  
ბი, სადაც აუარებელი შენობებია, მაგრამ ადგილობრივ  
ხელისუფლებას იმდენი ინიციატივა ვერ გამოუჩენია, რომ  
მოსამართლეს ერთი უბრალო ოთახი მისცეს, რითაც ამ  
უკანასკნელს მიეცემა საშუალება მუშაობისა. მოსამართ-  
ლეს უხდება თვით აღმასკომის შენობაში ყოფნა და ისიც  
ისეთ პირობებში, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეი-  
ძლება რაიმე გონებრივი მუშაობის წარმოება. ხშირია აგ-  
რეთვე შემთხვევები, როდესაც მოსამართლე თხოულობს  
საადგილმამულო საქმეებისათვის სასამართლოს წევრებს,  
მაგრამ ამისათვის არავის არ მიუტყვევია სათანადო ყუ-  
რადღება და ასეთების მოძებნა ისევ მოსამართლეს უხდე-  
ბა, ყველა ეს გარემოება უდაოდ მოწმობენ იმ ფაქტს,  
რომ ადგილობრივი თემალმასკომები და თემკომები გულ-  
ცივად ეპყრობიან აღნიშნულ საქმეს და ნაკლებ ყურად-  
ღებას აქცევენ სასამართლოს სესიების მოწყობას და, რაც  
მთავარია, ასეთს არც თავის მოვალეობათ სთვლიან.

ამრიგად საჭიროა ამ გარემოების სათანადო ყურა-  
ღების მიქცევა და ადგილობრივი ხელისუფლების ორ-  
განოებისათვის სესიების საკითხის შესახებ სათანადო  
ციკულარების დაგზავნა. სახ. მოს. გ.დ. ორჯონიძე.

# რა უშლის ხელს თავის დროზე გადა- წყვეტილებათა აღსრულებას?

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფ-  
ლების ზოგიერთ ორგანოების მიერ ჯერ-ჯერობით არ  
არის სათანადო ყურადღება მიქცეული იმაზე თუ რა მნიშ-  
ვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისრუ-  
ლეში მოყვან ს რეკოლიუციური კანონიერების განმტკი-  
ცების საქმისათვის. ბევრ შემთხვევაში სასამართლოს  
გადაწყვეტილებების დროზედ სისრულეში მო ვანას წინ-  
ელობებიან ჩემი შეხედულებით არა საპატიო მიზეზები.

ასეთ მიზეზებათ უნდა ჩაითვალოს:

1) სასამართლო ყოველგვარ საბუთების გარეშე  
მესამეპირთა ლიტონი განცხადებით, რომ მოვალის აწე-  
რილი ქონება მათ ეკუთვნით და ამის დასადასტურებლად  
მოწმეთა დასახელების საფუძველით აჩერებენ საჯარო  
ვაჭრობას და საქმის გარჩევა ხშირად რამოდენიმე წელ-  
საც კი გრძელდება. ამით ხშირათ ზედმეტად იტვირთება  
სასამართლო და ფერხდება საქმის სისრულეში მოყვანა.

2) ხშირია შემთხვევები, რომ მოვალენი ბოროტი  
განზრახვით მალავენ თავიანთ ქონებას და სასამართლოს  
აღმასრულებელს არაფერს ახვედრებენ ასაწერათ, რი-  
თაც აღმასრულებლებს საშუალება ესპობათ გაანაღდონ  
აღმასრულებელი ფურცლები. ჩემის აზრით ამ შემთხვე-  
ვაში საჭიროა ასეთი პირებისათვის დაწესებულ იქნეს  
სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა.

3) არის შემთხვევები, სახელმწიფო და საზოგადო  
ორგანიზაციები არ ასრულებენ სასამართლოს აღმასრუ-  
ლებელის მოთხოვნილებას მოვალისათვის ჯამაგირიდან  
განსაზღვრული პროცენტის დაკავების შესახებ და ამით  
ხელს უშლიან საქმის წესიერ მსვლელობას. ასეთი დაწე-  
სებულებათა ხელმძღვანელი გარდა პასუხისმგებლობისა  
სამოქალაქო წესით დასჯილი უნდა იქნან სისხლის სამარ-  
ლის კოდექსის 117 მუხლის მიხედვით.

4) მრავალ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების  
შესრულება ფერხდება იმის გამო, რომ საჯარო ვაჭრო-  
ბის დანიშნის შესახებ სასამართლოს აღმასრულებლის  
განცხადების გაზეთში გამოქვეყნებას, რომელიც სავალ-  
დებულოა 5 მანეთის ზევით სჭარდება 24 მანეთი, რო-  
მელიც განსაკუთრებით მშრომელს მძიმე ტვირთათ  
აწევს და იძულებული არიან უარი სთქვან ქონების სა-  
ჯარო გაყიდვაზე. საჭიროა მოგვარებული იქნეს საკითხი  
ან პუბლიკაციის ფასის დაწვევის მიმართულებით ან და  
საჯარო ვაჭრობის პრესაში გამოცხადება სავალდებულო  
იქნეს მაინც არა ნაკლებ 200 მან. თანხაზე.

5) არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოებს  
გამოაქვთ უსწორო გადაწყვეტილებანი, რომელთაც სის-  
რულეში მოყვანა ან არ შეადგენს სასამართლოს აღმა-  
სრულებლის საქმეს ან და მასი ასრულება ეწინააღმდეგება  
კანონს. ჩემს წარმობებაში არის საქმე, სადაც სასამართლოს  
დაუდგენია, რომ „სახლი გაიყოს შუაზედ სასამართლოს  
აღმასრულებლის მეშვეობით“ო, „ცოლს მიესაჯოს შვი-  
ლების საზრდოთ ქმრისაგან ჯამაგირის ორი მესამედი-“ო  
და სხვა. ამას უნდა მიუმატოთ აგრეთვე სასამართლო-ს  
მიერ საჯარო ვაჭრობის გადადება და საქმის დანიშნა

\*) დისკუსიის წესით.

დაგვიანებით. მაგალითისთვის მოვიყვან საქმეს № 30 სადაც მოსამართლემ მოხსნა საჯარო ვაჭრობა ქონებაზედ იმის გამო, რომ საჯარო ვაჭრობაზე დაწესებულ ვადას აკლდა მოვალის აზრით ერთი დღე და ამის შესახებ საკითხის განხილვა დაინიშნა ერთი თვის შემდეგ და თავისი კერძო დადგენილება სასამართლოს სრულ შემადგენლობამ გამოიტანა კასაციის უფლებით.

ამ გვარი მაგალითები მრავალია სასამართლოს პრაქტიკაში და მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

6) უნდა აღინიშნოს აგრეთვე პროკურატურის მიერ ხშირად გადაწყვეტილებების შეჩერება მას შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილება უკვე ძალაშია შესული და ამით ბოლო არ ეღობება საქმის დაუბოლოებას.

7) საქმის ზედმეტ გაჭიანურებას წარმოადგენს იუსტსახკომის მიერ გამოცემული ცირკულარი, რომლის ძალით სასამართლოს აღმასრულებლებმა დამთავრებული საქმეები უნდა წარუდგინონ უფროს აღმასრულებელს სანქციის მიცემისათვის სასამართლოში საქმის წარსადგენათ, რადგან აღმასრულებელთა დამთავრებული საქმეების გადათალიერება და ნაკლის აღმოჩენა თუ ასეთი იქნება ევალემა სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა და აღმასრულებელი ფურცელი გასცა და მესამე ინსტანციის შექმნა იმ დროს როდესაც ჩვენში პროცესის გამარტივება დღის წესრიგშია—ყოვლად მიუღებელია.

8) უკანასკნელად ყურადღების ღირსია, როგორც ეს იუსტსახკომის გამოყოფილ კომისიამ და მუშგლენინის კომისიამაც აღნიშნეს ის გარემოება, რომ სასამართლოს აღმასრულებელნი ძალიან მცირე ხელფასს და პროცენტს ღებულობენ. ამ გარემოებას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ ისინი მრავალ საქმეებით არიან დატვირთულნი (თვითთულს საშუალოდ წელიწადში წარმოებაში აქვს 500 საქმე) და ამავე დროს არ ყავთ არც დარაჯი, არც შიკრიკი, და არც საქმის მწარმოებელი.

საჭიროა სასამართლოს აღმასრულებლებს დაენიშნოს მტკიცე განაკვეთი პროცენტიულ ჯილდოს გაუქმებით, რადგან ეს უკანასკნელი არ შეეფერება საბჭოთა სისტემას. გარდა ამისა აღმასრულებლებს უნდა დაენიშნოთ ერთი შიკრიკი მაინც უწყებების და პაკეტების ჩასაბარებლად.

ყველა ზემოაღნიშნული მიზეზების აღმოფხვრით და ღონისძიების გატარებით სასამართლოს აღმასრულებლები კიდევ უფრო მეტ სამსახურს გაუწყვენ მშრომელ მასას და რევოლიუციური კანონიერების ცხოვრებაში სისწორით გატარების საქმეს.

სასამართლოს აღმასრულებელი: გერმ. ქილიფთარი.

**სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობის შესახებ**

საკითხი იუსტიციის ორგანოების საქმიანობის და კერძოთ—სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობის შესახებ იმდენად მომწიფდა, რომ პრესის და საერთო სა-

ზოგადობის ყურადღება მოულოდნელად დაუსადგინდა ლოდ ვერ ჩაითვლება. რამოდენიმე კაცს სასამართლოს აღმასრულებელთ აყვედრიან საქმეების გაჭიანურებას, საქმეების არა თანასწორი ტემპით წარმოებას და სხვა. თუ დაუკვირდებით აღმასრულებლების მუშაობას, ვნახავთ, რომ მას ხშირად დიდ დაბრკოლებებთან აქვს საქმე. უნდა ითქვას, რომ აღმასრულებლების მუშაობა მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საოჯახო უფლების უქონლობა. ხშირად სასამართლოს აღმასრულებელი ისმენს მოვალის ქონების აღწერის დროს—რომ ასაწერი ქონება ეკუთვნის მხოლოდ იმის მეუღლეს მაშინ, როდესაც საქმის მთელი გარემოება ამტკიცებს, რომ ეს ქონება არის საერთო. ყოფილა ამისთანა შემთხვევა, რომ სასამართლოს აღმასრულებელი გამოცხადებულა მოვალის ქონების ასაწერად და აქ განუცხადებია მისთვის მოვალის მეუღლეს, რომ „ჩემი მეუღლისა აქ არაფერი არის და ყველა ეს ქონება მეკუთვნის მე“-ო. აღმასრულებელი კი ხედავს თავისი თვალით, რომ მოვალის ბინა არის საუკეთესოთ მოწყობილი, არის როიალი, რბილი ავეჯეულობა, ოჯახში არიან ბავშვები—და ცხადი ხდება—მოვალის და მისი მეუღლის საერთო ცხოვრება. საჭირო არის დიდი ენერჯია და დაუძინება, რათა ამნაირ შემთხვევაში არამც თუ ქონება აიწეროს, არამედ აღმასრულებელს საშუალება მიეცეს მოვალის ბინაში შესვლისა. მაგრამ საქმე ამითი არა თავდება. ასეთი დაბრკოლებათა დაძლევით მოხდენილ აღწერის შემდეგ, საქმე გადადის სახალხო სასამართლოში—ალიძგრის დავა საკუთრების უფლებაზე,—სადაც რა თქმა უნდა მოვალე მეუღლე აღიარებს, რომ მთელი აღწერილი ქონება ეკუთვნის მის მეუღლეს და აღწერილი ქონება როგორც მეორე მეუღლის საკუთრებად აღიარებული, თავისუფლდება აღწერისაგან. პრაქტიკის ცუდ შედეგებს უნდა მიეწეროს ის, რომ ხშირად მოქალაქე წარადგენს აღმასრულებელ ფურცელს უშუალოთ ამა თუ იმ დაწესებულებაში, სადაც მოვალე მაგალითად მსახურობს ან და სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იქმნეს სისრულეში მოყვანილი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ საქმის ზიანს მრავალი მხრიდან—ჯერ ერთი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას თვალ ყურს ვერ ადევნებს სასამართლოს აღმასრულებელი. გარდა ამისა, სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა გადაახდევინოს აღმასრულებელ ფურცლის წარმოდგენს აღსრულებითი მოქმედებისათვის ფული, რომელსაც ამ შემთხვევაში ფისკი ჰკარგავს, და სხვა. რა თქმა უნდა, ყველა ამ უარყოფითი მხარეებს უნდა მოეღოს ბოლო კატეგორიული აკრძალვით—აღმასრულებელ ფურცლების მიღებისა—სასამართლოს აღმასრულებლის გარეშე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს აღმასრულებლებიდან ხშირად დაწესებულება თხოვლობს აღმასრულებელ ფურცლის წარდგენას—დაწესებულებაში. აღმასრულებელი ფურცელი—სასამართლოს აღმასრულებლის საქმეში არის ხერხბამალი ღ მისი იქიდან მოშორება—საქმისათვის ზიანის მეტს არაფერს არ მოიტანს. გარდა ამისა, ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილების

ნაწილობრივი შესრულების შემდეგ, სასამართლოს აღმასრულებელმა გადამხდევინებელს უნდა ხელი მოაწერიონოს თვით ფურცელზე. ეს მით უმეტეს, რომ სამოქ. საპროცესო კოდექსში არსად არ მოიპოვება მოთხოვნილება აღმასრულებელ ფურცლისა დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ — და ამ შემთხვევაში დაწესებულება ემყარება ნხოლოდ იმას, რომ „მუდ.მ აღმასრულებელი ფურცელი ჩვენ გვეგზავნებოდა“. რა თქმა უნდა, ზემოთ ნათქვამი არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დაწესებულება არის თვითონ მოვალე და გადახდევინება უშუალოდ მის წინააღმდეგ არის მიქცეული — ამ შემთხვევაში, სასამართლოს აღმასრულებელი უგზავნის დაწესებულებას დამოწმებულ ასლს აღმასრულებელ ფურცლისას, რომელიც მას წარუდგინა — დედანი თურთ გადამხდევინებელმა.

თითქმის ყველა აღმასრულებელ ფურცელში არის ნათქვამი, რომ მოვალეს უნდა გადახდეს ხაზინის სასარგებლოდ ესა თუ ის თანხა საღერბო გადასახადის სახით, სასამართლოს ბაჟისა და სხვა. მაშასადამე პირველსავე გადახდევინებაზე უნდა დაეკავოს მოვალეს ყველა აღნიშნული თანხები და შეტანილი იქნას სადაც ჯერ არს. დაწესებულება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უგზავნის სასამართლოს აღმასრულებელს მოვალესაგან დაკავებულ ფულს და თითქმის მუდამ აღმასრულებელს უხდება ყველა ამ დაწესებულებებში გამოცხადება, საიდანაც ესა თუ ის თანხები არის მისაღები.

ზემო აღნიშნული ეხება იმ მოვლენებს, რომელიც ართულებს სრულიად უსაფუძვლოდ სასამართლოს აღმასრულებელის მუშაობას და რომლების მოშორება უნდა მოხდეს პირველ რიგში. გარდა ამისა ისიც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რომ ზოგ აღმასრულებლის წარმოებაში უფრო საერთო სამოქალაქო ხასიათის საქმეები არის, მაშინ როდესაც სხვა აღმასრულებელთან შედის საქმეები უფრო სალიმენტო ხასიათის ან საქმეები მცირე თანხიანი გადახდევინების. ამ გარემოებას აქვს მნიშვნელობა პროცენტული ანარიცხების გამოანგარიშების დროს, სასამართლოს აღმასრულებლებისა. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ყველა ამ პროცენტულ ანარიცხებს თავი მოეყაროს ერთად და შემდეგ ისინი თანასწორად იქმნას განაწილებული ყველა აღმასრულებელთა შორის.

მეტი ყურადღება — სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას.

**ბ. გამაზიშვილი.**

**სისხ. სამართ. კოდექსის 174 მუხ. შეფარდების შესახებ**

იმ საქმის გარჩევის დროს, რომელსაც შეეფარდება სისხ. სამართ. კოდექ. 174 მუხლი სასამართლო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულს და ბრალდებულს მიუყენებიათ ერთმანეთისათვის თანაბარი ან ცოტათი მეტი შეურაცყოფა სიტყვით ან მოქმედებით. ძველი კოდექსის 179 და 162 მუხლები აქვითებდა და თავდაცვას უყენებდა და არც ერთს მხარეს სოც. -დაცვის ღონისძიება არ ეფარდებოდათ. ეს არ ვარ-

გოდა და ამიტომაც კანონმდებელმა ამოშალა. მაგრამ არც ეს ვარგა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ქონდეს უფლება ორივე მხარეს შეუფარდოს სოც. -დაცვის ღონისძიება კლასიური მიდგომით. ეს ასე იმიტომ უნდა ხდებოდეს, რომ ჩვენი კანონმდებლობის ამოცანას ისიც შეადგენს, რომ საზოგადოების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ცუდი მოვლენები გამოასწოროს. პრაქტიკაში შემხვედრა ისეთი შემთხვევა, როცა ორივე მხარეს გაულანძლავს ერთმანეთი, კიდევაც უცემიათ, სასამართლომ შეუფარდა სოც. -დაცვის ღონისძიება ორივე მხარეს ფულადი ჯარიმა. დამსწრე ხალხმა ერთხმად დაიძახეს „ძალიან კარგი, შესაფერისი განაჩენი არისო, ეგ ასწავლის ორივე მხარეს კუჟასო“. ამიტომ მე პირადად მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ კერძო ურთიერთ შეურაცყოფის საქმეში ორივე მხარეს შეეფარდოს სოც. -დაცვის ღონისძიება. კარგი იქნება, რომ 1928 წ. ს. ს. კ. 174 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მუხლი 174<sup>1</sup> „**შეურაცყოფა მოქმედებით, ან სიტყვიერი ორივე მხრიდან გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ან თვემდე ან და ფულად ჯარიმას სამას მანეთამდე**“. ამ მუხლის დამატება მოკვცემს ჩვენ საშუალებას შემცდარ გზაზე დამდგარი მოქალაქეები დავაყენოთ სწორ გზაზე. მოქალაქეები კი იგრძნობენ რევოლიუციური კანონიერების სიმტკიცეს.

ი. კაციტაძე.

**წერილი რედაქციის მიმართ**

**სამართლო განმარტება**

„საბჭოთა სამართლის“ № № 9 და 21 მოთავსებულ მოქალაქე რ. კალანდაძის წერილების გამო ჩემი მონაწილეობის შესახებ ქიქოძის და ვილარეტის საქმეში, გაუგებრობათა ასაცილებლათ, პატივცემულ ჟურნალის რედაქციას ვთხოვ გამოაქვეყნოს ჩემი შემდეგი განმარტება:

1) იმ საქმეში, რომელიც აღძრული იყო სასამართლოში 1922 წლის 25 აგვისტოს ქიქოძის სარჩელით ვილარეტის მიმართ ბინის ქირის შესახებ, მე ვილარეტის ვეკილათ და დამცველათ არც გამოვსულვარ, არც ვყოფილვარ. ამ საქმეზე 1922 წლ. 2/3 ნოემბერს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანაში მივიღე მონაწილეობა მხოლოდ როგორც სასამართლოს შემადგენლობისთვის გამოწვეულმა მსაჯულმა.

2) გადაწყვეტილება, გამოტანილი ამ საქმეზე ჩემის, როგორც მსაჯულის, მონაწილეობით 1927 წლის სექტემბერს დამტკიცებულ იქნა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით საკასაციო წესით; ამ საქმის ხელმეორეთ განხილვა პირველ ინსტანციაში სრულებით არასოდეს არ მომხდარა.

3) 1924 წლის 30 აპრილს ქიქოძის სარჩელით აღძრულ იქნა ვილარეტის მიმართ ახალი საქმე ისევე ბინის ქირაზე. ეს ახალი საქმე ოლქის სასამართლომ გადასწყვეტა 1925 წლის 16/19 იანვარს. ამ გადაწყვეტილების გამოტანაში მე არავითარი მონაწილეობა არა მქონია, უზუნაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებით აღნიშნული დადგენილება გაუქმებულ იქნა და საქმე დაუბრუნდა

ოლქის სასამართლოს ხელმეორეთ გასარჩევით. მეორე გადაწყვეტილება ამ საქმეზე ოლქის სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა 1927 წლის მარტის 31/აპრილის 2-ს. ამ გადაწყვეტილების გამოტანაშიც მე არავითარი მონაწილეობა არა მქონია. ვილარეტის ინტერესების დაცვა როგორც ვექილმა მივიღე ჩემს თავზე, როცა 1927 წლის გადაწყვეტილება განსაჩივრებული იყო ორთავ მხარის მიერ საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში. მანამდე ამ საქმის არსებობაც კი არ ვიცოდი.

4) არც პირველ, არც მეორე საქმის წარმოების დროს არ ყოფილა სადავო მხარეთა შორის, რომ ვილარეტი კავშირის წევრი იყო.

5) 1922 წელს სასამართლომ ჩემს, როგორც მსაჯულის, მონაწილეობით სცნო, რომ ვილარეტს გარდა სამსახურებრივი ჯამაგირისა აქვს დამატებითი შემოსავალი სხვადასხვა წამლების გაყიდვიდან, მიიღო მხედველობაში, „რომ მოპასუხე (ე. ი. ვილარეტი) არც ისე დიდ შემოსავალს იღებს, წამლებს ამზადებს თავისი პირადი შრომით დაქირავებულ შრომის გარეშე“ და ამიტომ განსაზღვრა თვითრათ ქირა 2 1/2 მილიონ მანეთათ.

მეორე საქმის წარმოების დროს, ჯერ საკასაციო ინსტანციაში და შემდეგ პირველ ინსტანციაში, სადაც მე ვილარეტის ინტერესებს ვიცავდი, როგორც მისი რწმუნებული, არც ერთი ისეთი მოსაზრება არ გამოცხადებია სასამართლოსთვის, რომ იგი 1922 წლის გადაწყვეტილების მოტივების საწინააღმდეგო ყოფილიყო. პირიქით, მე ვამტკიცებდი, რომ ვილარეტის დამატებითი შემოსავალი არის შრომითი შემოსავალი, ე. ი. ვიმეორებდი იმასვე, რაც 1922 წლის გადაწყვეტილებაში იყო ნათქვამი.

6) დამატებითი შრომითი შემოსავლის იურიდიული მნიშვნელობა 1922 წლის ნოემბერში საბინაო კანონმდებლობის ძალით არ განირჩეოდა არაშრომითი შემოსავლის მნიშვნელობისაგან. დამატებითი შემოსავალი, შრომითიც და არაშრომითიც, დამატებული გარემოება იყო მაშინ მოქირავანისთვის შეღავათების მისაღებათ. შემდეგ კი საბინაო კანონმდებლობა განვითარდა და შრომითი დამატებითი შემოსავალი უკვე აღარ წარმოადგენდა დაბრკოლებას საბინაო შეღავათებისთვის. ამიტომ 1922 წელს სასამართლომ კანონიერათ სცნო, რომ ვილარეტს არა ჰქონდა უფლება ბინის ქირა ნიხრის საფუძველზე ეძლია ქიქოძისთვის, ხოლო 1927—1928 წელს კი კანონიერი იყო ვილარეტი შეღავათიან მოქირავნეთ ყოფილიყო ცნობილი.

7) 1928 წლის 31 იანვარს, როცა საქმე ირჩეოდა ტვილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოში სასამართლოს წევრის რ. კადანდაძის თავმჯდომარეობით, უკვე აღიარებული იყო უზენაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, რომ ვილარეტი ეკუთვნის მშრომელთა კატეგორიას და გამოსარკვევი იყო მხოლოდ რაოდენობა ვილარეტის ჯამაგირის და მისი დამატებითი შრომითი შემოსავლის, რა რაოდენობაც საფუძველათ უნდა დასდებოდა გადასახდელ ბინის ქირის განსაზღვრას. უზენაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებით საქმე გადაცემული ჰქონდა მაზრა-ქალაქის სასამართლოს სწორეთ ამ თვალსაზრისით მის განსახილველათ და გადასაწყვეტათ, ამისდა მიუხედა-

ათ ქიქოძის რწმუნებულმა დამ. კოლ. წევრმა ანდრონიკაშვილმა სხდომაზე სცადა დაესაბუთებინა ის შეხედულება, ვითომც ვილარეტს ქირა უნდა დაჰკისრებოდა არა არსებულ ნიხრის საფუძველზე როგორც უშეღავათო დამქირავებელს. ანდრონიკაშვილის განმარტება არსებითათ მიმართული იყო ჩემ მოსაზრებათა გაბათილებისაკენ, მან განაცხადა ისიც, რომ 1922 წელს ჩემს, როგორც მსაჯულის, მონაწილეობით სასამართლომ ვილარეტი შეღავათიან მოქირავნეთა კატეგორიას არ მიაკუთნაო, მაგრამ რომ მას ჩემი პოზიციისთვის ამ საქმეში სამარცხვინო ეწოდებინოს, ეს ამბავი არ მაგონდება. ყოველ შემთხვევაში არც იმით, რომ მე როგორც ვექილმა ვილარეტის ინტერესების დაცვა ვიკისრე 1927 წელს, არც იმით, რომ მის სასარგებლოთ მოვიმარჯვე გარკვეული შინაარსის იურიდიული არგუმენტაცია, არაფერი შეუფერებელი მოქმედება არ ჩამიდენია.

გრ. რცხილაძე.

## იურიდიული დახმარება (პითხვა - პასუხი)

### კითხვა:

გთხოვთ გავეიმარტოთ, ხელისუფლების რომელ ორგანოს მიერ უნდა იქნეს შედგენილი ადმინისტრაციული ოქმი იმ საქმეზე, რომელიც გამოიხატება საქართველოს ს. ს. რ. რევკომის მიერ 28 №-ით გამოცემულ 17 მუხლის დარღვევაში, (როცა განცხადება ბავშვის დაბადების ან პოვნის შესახებ არ იქნა შეტანილი ორითვის განმავლობაში არა პატივსაღებ მიზეზის გამო) და ვინ უნდა დააჯარიმოს ადმინისტრაციული წესით ხსენებული კანონის დამრღვევი პირი.

გომის თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

### პასუხი:

1. საქართველოს ს. ს. რ. რევკომის მიერ გამოცემული დეკრეტის 17 მუხლის მოთხოვნის დარღვევა უნდა დაადასტუროს სათანადო ოქმის შედგენით იმ ორგანომ, რომელიც გაიგებს ხსენებული მუხლის დარღვევას და რომელსაც შეუძლია ოქმის შედგენა. ასე მაგ. ასეთ დარღვევას შეაჩვენებს მმაჩი და აგრეთვე სასამართლო, თუ მის განსახილველად აღძრულ საქმეში გამოირკვევა კანონის დარღვევა. ეს ორგანოები შეადგენენ ოქმს და მას წარმართავენ იმ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია დაადოს დამნაშავე პირს კანონში გათვალისწინებული ჯარიმა. ხელისუფლების იმ ორგანოებს კი, რომლებსაც არ ეკუთვნის ოქმის შედგენის უფლება, აცნობებენ სათანადო ორგანოებს კანონის დარღვევას და ეს უკანასკნელნი შეადგენენ სათანადო ოქმს და ამ უკანასკნელს გადაუგზავნიან სათანადო ორგანოებს, რათა დადებულ იქნეს სათანადო ჯარიმა.

2. რაც შეეხება იმ საკითხს, ვინ უნდა დაადოს ჯარიმა აღნიშნული კანონის დარღვევისათვის, ეს უნდა გადაწყდეს სისხ. სამ. კოდექსის თანახმად ადმინისტრაციული წესით სადგენელ ქმედობისათვის გადასახდელის დადების შესახებ დებულების მიხედვით (გამოკვეყნებულია ც. ა. კანონი და სახკომსაბჭოს 1927 წლის 20 მარტის თარიღით

დადგენილებით, იხ. 1918 წლის კან. და განკ. კრებული № 3, მუხ. 51). ხსენებული დებულების 1 მუხლის ძალით ისეთ ქმედობისათვის, რაც სისხ. სამ. კოდ. თანახმად დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით, გადასახდელს დაადებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს—მაზრის მილიციის უფროსი.

### კანონმდებლობის მიმოხილვა

1928 წ. ოქტომბრის 1-დან ოქტომბრის 31-მდე.

#### ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. კანონმდებლობა

##### საბინაო კანონმდებლობა

**Об оплате жилых помещений в городах и городских поселениях ЗСФСР** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. ოქტომბრის 1 დად.—„ზარ. ვოსტ.“ № 227, ოქტომბრის 2)

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. და ს. კ. ს-ოს 1926 წ. ივლისის 4 დადგენილებისა „ბინის ქირის და სხ.“—შესახებ (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1926 წ. № 44, მუხ. 312) და 1928 წ. იანვრის 4-ისა საბინაო პოლიტიკის შესახებ (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 49).

დადგენილება წარმოადგენს საბინაო ტარიფიკაციის საფუძვლებს რომელთა მიხედვითაც ფედერაციაში შემაჯალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა შესცვალონ თავიანთი დებულებანი ბინის ქირის შესახებ.

ძირითად განაკვეთად დაწესებულია ქ. ტფილისისათვის 40 კაპ. ბაქოსათვის—42 კ. ერევნისათვის—38 კ. კვ. მეტრისათვის, დანარჩენ ქალაქებისა და დასახლებულ ადგილებისათვის საბინაო ნიხარი განისაზღვრება სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით ხოლო იგი ყოველ შემთხვევაში 26 კაპ. ნაკლები არ უნდა იყოს ადგილობრივი საბჭოები ძირითადი განაკვეთის მიხედვით შეიმუშავებენ და სა მოქმედობით შემოიღებენ საბინაო ნიხრს, რომელიც ცალკე რესპუბლიკის კანონმდებლობის წესით შეიძლება შემცირდეს ამა თუ იმ კეთილმოწყობის ელემენტის უქონლობის გამო (ელექტრ. განათებისა წყალსადენისა, კანალიზაციისა).

მუშა-მოსამსახურეთათვის დიწესებულია 13 კატეგორია. ზემო აღნიშნული ძირითადი განაკვეთი დაწესებულია მე-12 კატეგორიისათვის (125—145 მან. თვეში). პირველ კატეგორიისათვის (200 მ.-დე) —5,5 კაპ. მეორე კატეგორიისათვის (21—30 მ.)—ბაქოსათვის 14, ტფილისისათვის—10, ერევნისათვის 8 -. დანარჩენ კატეგორიებისათვის—სათანადო შემცირება ძირითადი განაკვეთისა. იმ მუშა-მოსამსახურისათვის, რომელიც 145 მან. მეტს იღებს. განაკვეთი გადიდება, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს, როდესაც ხელფასის რაოდენობა 275 მ. 94 კაპ. ტფილისისა ბაქოსი და ერევნისათვის 85 კ სხვა ქალაქებისათვის; ამის ზევით ყოველ 25 მან. ქირა იზრდება 5,5 კაპ. ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს I მ 32 კაპ.

შემდეგ დასახელებულია პენსიონერები, წითელარმიელები, მშრომელთა ხარჯზე მყოფნი შინა მრეწველნი და ხელოსნები, სამრეწველო კოოპერაციის წევრნი და სხვ. გათვალისწინებულია თვითუფილი ჯგუფის შეღავათების საფუძვლები.

ვაჭრებისათვის არამშრომელთა კატეგორიების სხვა პირთათვის დაწესებულია I მ. 98 კაპ. ტფილისისა, ბაქოსი და ერევნისათვის, დანარჩენ ქალაქებისათვის კი—I მ. 32 კ.

ეს დადგენილება ვრცელდება ყველა ნაციონალიზაციაქმნილ, მუნიციპალიზაციაქმნილ კერძო სახლებზე და არა ვრცელდება აღნაგობის უფლებების საფუძველზე ახლად აგებულ, აღდგენილ და დამ-

თავრებულ სახლებზე და სასტუმროებზე, რომლებსათვისაც მოქმედებს ადგილობრივი ცალკე ტარიფი.

ფედერაციაში შემაჯალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა შეიქმნონ და საჩქაროდ გაატარონ ცნობრებაში სათანადო ღონისძიებანი, რათა შემოსული ქირა ხმარდებოდეს სახლის შეკეთებას.

**О дополнении пункта „а“ ст. 4-ой постановления Зак. ЦИК да СНК ЗСФСР от 1 октября 1928 г. „об оплате жилых помещений в городах и городских поселениях ЗСФСР.** (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1928 წ. ოქტომბრის 19 დადგ.—„ზარია ვოსტ.“ № 244, ოქტომბრის 20).

შემოსვენებული კანონის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტს დამატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ამ კანონის I მუხლში გათვალისწინებული ერთი კვ. მეტრისათვის ბინის ქირის ძირითადი განაკვეთი ქ. ბაქოსათვის დაწესებულია იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც იღებენ 110 მანეთიდან 145 მანეთამდე.

#### საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

##### შ.რ.შ.ა

**სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესების შესახებ** (ს. კ. ს-ოს დადგ.—„კომუნისტი“, № 239, ოქტომბრის 14)

სოფლის მოსახლეობის კვალიფიციური მედპერსონალით უზრუნველსაყოფად ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მედპერსონალისათვის დაწესებულია სამუშაო ხელფასის შემდეგი თვიური მინიმალური განაკვეთები: ექიმისათვის—100 მან. ექიმის თანამშრომლისათვის—45, ფერწალ—მეან ქალისათვის—45 მ. მეან ქალისათვის—45, სანიტარისათვის—24 და მომვლელ ქალისათვის 25. აფხაზეთის და აჭარისტანის სახკომსაბჭოებმა და სამხრეთ ოსეთის ც. ა. კ-მა უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

##### სამოქალაქო სამართალი.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 34 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს № 58 დადგ.—„კომუნისტი“ № 228, ოქტომბრის 2)

აღნიშნული მუხლის რედაქცია შეცვლილია შემდეგნაირად: „ბათილია გარიგება, დადებული მზარეთა შეთანხმებით მხოლოდ ს ა ჩ ვ ე ნ ე ლ ა დ (სათვალმაქოდ“ ძველ რედაქციით) და უიმგანზარხვოდ, რომ მას იურიდიული შედეგი (შედეგები ძველ რედ.) მოჰყვეს.

##### კ რ ე დ ი ტ ი

**ღარიბ გლეხთა საკრედიტო ფონდების განაწილების ვალების შესახებ** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის 11 დადგ.—„კომუნისტი“ № 240, ოქტომბრის 16).

ღარიბ გლეხობის მეურნეობათათვის გახსნილია კრედიტების განაწილების დასაჩქარებლად, დაწესებულია ამგვარ საკითხების განმხილველ დაწესებულებათათვის შემდეგი მაქსიმალური ვადები:

- ა) საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის—ათი დღე იმ დღიდან, რაც იგი მიიღეს განკარგულებას კრედიტის გახსნის შესახებ;
- ბ) საქ. ეკონომიურ საბჭოსათვის—შვიდი დღე, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან კრედიტებას განაწილების პროექტის მიღების დღიდან;
- გ) სამაზრო კომისიებისათვის—შვიდი დღე კრედიტების გახსნის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან;
- დ) საკრედიტო ამანაგობებთან არსებული კომისიებისათვის—თხუთმეტი დღე კრედიტების გახსნის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.\*)

გ. ქ.

\*) გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში რედ.

# ქ უ ი ს ტ ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი



შინაპარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები № 15, 25.— შრომისა და იუსტიციის სახ. კომისარიატების ცირკულარი.— იუსტიციის სახალხო კომისარიატის განმარტება.— ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის ოქმიდან.

## იუსტიციის სახ. კომისარიატის ცირკულარები

ცირკულარი შ. ს. კ. № 6  
ი. ს. კ. № 26

ცირკულარი № 15.

### ყველა მაზრის პროკურორს.

ასლი უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოხეთის იუსტსახკომებს.

მიუხედავად ჩვენი 1927 წლის № 11 ცირკულარისა სასამართლოს განაჩენების თავის დროზე სისრულეში მოყვანის შესახებ, საქართველოს მ/გ. ინსპექციის ა/წ. 6/Х მომართვის №3152-ან სჩანს, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობისაგან ხშირად მიდის საჩივრები საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან და შრომდაცვის საბჭოსთან არსებულ საჩივართა სამდივნოში იმის შესახებ, რომ სასამართლოში მსჯავრის დადების და განაჩენის გამოტანის შემდეგ დამნაშავეს უკანონო ანთავისუფლებენ და დაუსჯელად სტოვებენ. ამის გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ მტკიცეთ გაატაროთ ცხოვრებაში ჩვენი ზემოაღნიშნული ცირკულარი, გადმოგზავნილი 20/Х-1926 წ. № 12545 თარიღით, რისთვისაც გვეალებათ პერიოდიულად გადათვლიეროთ სახალხო სასამართლოებში დამოაგრებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზედაც სოციალური დაცვის ღონისძიებით არჩეულია თავისუფლების აღკვეთა. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მილიციის ორგანოების საქმიანობას, განაჩენების თავის დროზე სისრულეში მოყვანის მიზნით და შრომა გასწორების კოდექსის სისწორით შეფარდების საკითხს საპატივრო და გამსაზღვრებში არსებული ადმინისტრაციული კოლეგიების მიერ.

იუსტიციის სახალხო კომისარის და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე - თ. დოლიძე.  
ი. ს. კ. პროკურორი - ს. ქავთარაძე.  
1928 წ. ნოემბრის 7.

ცირკულარი № 25.

### ყველა სახალხო სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს ცნობით ხშირად სასამართლოში შემოდის საკასაციო წესით წარდგენილი სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც საკასაციო საჩივართან ერთად თანდართული აქვს ასლი მოპირდაპირე მხარისათვის. ამით სახალხო სასამართლოები სისტემატიურათ არღვევენ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 239 მუხლის მოთხოვნას—საკასაციო საჩივრის ასლს მოწინააღმდეგე მხარის ყველა მონაწილისათვის გაგზავნის შესახებ და კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს უკარგავს საშუალებას გაეცნონ საკასაციო მოსაზრებებს და ამაზე თანახმად სამ. სამ. საპრ. კოდ. 240 მუხ. გასცენ სათანადო პასუხს.

აღნიშნულ სრულიად დაუშვებელ მოვლენის ასაცილებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიატი კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ სამოქალაქო საქმეებზე შემოტანილი საკასაციო საჩივრის ასლები შემდეგ მუდამ უგზავნოთ მოპირდაპირე მხარეს და სავრთოდ სისწორით დაიცვათ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 239 მუხლის მოთხოვნა.

იუსტსახკომის მოადგილე — ტალახაძე  
საინსტრუქტორო-სარევიზიო განყ. გამგის მაგიერ ხარაბაძე.

1928 წ. 30 ოქტომბერი.

## საქართველოს სსრ შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა.

სახალხო სასამართლოებში წარმომადგენლობის შესახებ შრომის საქმეთა განხილვის დროს.

შრომის სასამართლოებში წარმომადგენლობის საკითხის მოსაწესრიგებლად, საქართველოს ს. ს. რ. შრომის და იუსტიციის სახალხო კომისარიატები წინადადებას იძლევიან მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. სამაზრო ქალაქის გარეშე მყოფ სახალხო სასამართლოში შრომის საქმეთა განხილვის დროს მონაწილეობის მისაღებად სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეთურნობის განყოფილების წარმომადგენლის მაგივრად უნდა გაიგზავნოს ადგილობრივი თემის აღმასკომის წევრი. ხოლო, თუ ამ უკანასკნელის გაგზავნა საძნელო იქნება, წარმომადგენლობა დაეკისრება სახალხო სასამართლოს სიებში შეტანილ სახალხო მსაჯულთ.

2. უკეთეს სამაზრო პროფესიონალურ ბიუროს მუდმივი წარმომადგენელი ადგილობრივ არ არის, მის მაგირობას გასწევს სახალხო სასამართლოს მორიგი სახალხო მსაჯული სახალხო მსაჯულთა სიიდან.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარი—ს. თოდრაია.  
საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო

კომისარი—შ. მათიკაშვილი.

1928 წ. ოქტომბრის 25-30.

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

### იუსტიციის სახალხო კომისარიატისა

კახეთის სამაზრო აღმასკომის შეკითხვის გამო, როგორ უნდა მოიქცეს თემის აღმასკომი იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მოქალაქის მიერ ჩადენილია განზრახი წინახედი, დამნაშავე პირი უნდა იქნეს დასჯილი ადმინისტრატიული წესით, როგორც სავალდებულო დადგენილების დამრღვევი, თუ ასეთი უნდა იქნეს წარმართული საერთო წესით თემდამასკომის განსაზივლელად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი განაპრტავს:

განზრახი წინახედი, როგორც ქმედობა, დასასჯელი ადმინისტრატიულ წესით თემდამასკომების მიერ. გათვალისწინებულია სისხლის სანართლის კოდ. 195 მუხლში (სისხ. სამართლის ძველი რედაქ. 201 მუხ.) და საკითხს იმის შესახებ, თუ რა წესს ექვემდებარება აღნიშნული მუხლის თანახმად დადება ადმინისტრატიული გადასახდელისა, სწყვეტს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 5-ის თარიღით გამოცემული დებულება, რომლითაც თემის აღმასკომებს დაეკისრათ განხილვა: როგორც იმ საქმისა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდ. 195 მუხლში (ძველი რედაქციით 201/1 მუხ.), ისე სამოქალაქო საქმისა (15 მანეთის ფარგალში ზარალის ანაზღაურების შესახებ), რომელიც მიყენებული იქნება სისხ. სამ. კოდ. 195 მუხლში გათვალისწინებული ქმედობით (იხ. საქართველოს მთავრობის კონთა და განკარგულებათა 1927 წლის კრებულები, № 3, მუხ. 40). იმ შემთხვევაში კი როცა ჩადენილია მოქმედობა გაუფრთხილებლობით წინახედი, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდ. 195 მუხლში, მაგრამ იგი შეიძლება იქნეს გათვალისწინებული სავალდებულო დადგენილებაში, დამნაშავე პირს დაედება ადმინისტრატიული წესით სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დასასჯელი. (როგორც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის), მაგრამ



თემალმასკომმა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იმავე დადგენილებაში გათვალისწინებული სასჯელი უნდა დაადოს დამნაშავე პირს საქმის განუხილველად იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 1927 წლის 5 მარტის დადგენილებით გამოქვეყნებულ დებულებებში, რადგან ეს უკანასკნელი წესი, როგორც ზევით არის განმარტებული, ვრცელდება მარტოდენ სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაზე და არა იმ შემთხვევაზე, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სავალდებულო დადგენილებაში. აღნიშნულ მოსაზრებათა გამო უნდა იქნეს ცნობილი, რომ იმ ქმედობას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამ. კოდექსის 195 მუხლში, ვერ შეეფარდება სავალდებულო დადგენილება, ამიტომ საქმე ასეთ ქმედობაზე უნდა გადაეცეს თემალმასკომს განსახილველად იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 5-ის დადგენილებით გამოცემულ დებულებაში.

იუსტიციის სახალხო კომისარის მაგ. **ი. ტალახაძე**  
 საკანონმდებლო განყ. გამგე **ი. როინაშვილი**  
 ი უ რ ი ს კ ო ნ ს უ ლ ტ ი **კ. მიქელაძე**  
 1928. ოქტომბრის 30.

**ა მ ო ნ ა წ ე რ ი**

**ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 16—17 ოქტომბრის ოქმიდან № 13.**

**უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, სისხ. სამ. კოდ. 61—63 მუხლების განმარტების შესახებ იმ სახით, რომ პასუხისგებაში მიცემული იქნენ არა მარტო გადასახადის გადამხდელები, არამედ ის პირნიც, რომელნიც ხელს შეუწყობენ მათ გადასახადისაგან თავის არიდების საქმეში. (მოხსნ. აშხ. აკოფოვი).**

მთელ რიგ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებიდან ირკვევა, რომ გადასახადის კერძო გადამხდელები განსაკუთრებით ვაჭრები ახერხებენ მის გადახდისაგან თავის არიდებას სავაჭროს ან სხვა წარმოების დაფარვის გამო თვალთმაქცური აქტის

საშუალებით (ხელშეკრულებით, რწმუნებულებით და სხვ.) ან პატენტის აღებით თავიანთ მეუღლის, ნათესავების, მშობლებისა და შვილების სახელზე, და რომ სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში მერყევე მდგომარეობაში ვარდებიან ასეთ ფორმალურ აქტების თუ ურთიერთობის წინაშე, არ ნათელყოფენ მათ თვალთმაქცურ ხასიათს და არ ირკვევენ საქმის ნამდვილ ვითარებას.

ასეთი მოვლენის აცილების მიზნით უზენაესი სასამართლოს პლენუმი განმარტავს;

1. სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიიცივიან ს. ს. კ. 61 და 63 მუხ. მიხედვით, ზოგიერთ, სათანადო შემთხვევაში კი 183 მუხლით ის პირნი, რომელნიც ვალდებული არიან გადასახადი გადასახადი, როგორც სავაჭროს ან საწარმოოს ნამდვილმა მუპატრონეებმა, ხოლო პირნი, რომლებიც ფარავენ გადასახადის გადამხდელებს (მაგ. თვალთმაქცი რწმუნებულები და სხვ.) პასუხს აგებენ მათთან ერთად, როგორც თანაწილნი და ქონებრივი პასუხისმგებლობის მხრივ კი სოლიდარულად.

2. რაიმე გაუგებრობის შემთხვევისას ასეთ საქმეებზე სავალდებულოა სასამართლოში იმ პირების მოწმეებათ გამოწვევა, რომლებზედაც ეჭვი იქნება მიტანილი, რომ ისინი იმალებიან სხვისი ფირმის ქვეშ და საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ სასამართლოსაგან არის დანაკვირებული დაუყოვნებლივ მათი პასუხისგებაში მიცემა, როგორც ბრალდებულების (მაგ. მართვა-გამგებლობის, ან ვაჭრობისათვის მიცემულ რწმუნებულების სრულ დაუსაბუთებლობის და შეუსაბამობის შემთხვევაში) და საქირო ზომების მიღება ფინორგანოების მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად.

3. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოებს წინადადება ეძლევათ განსაკუთრებული კრიტიკით შეამოწმონ სინამდვილე განცხადებისა ქონების ასეთივე თვალთმაქცური აქტების თუ ურთიერთობის გამო სხვა პირების კუთვნილად გამოცხადების შესახებ, თუნდაც საამიოთა შუამდგომლობა არ იყოს აღძრული ფინსახკომის ორგანოების მხრივ, რომლებიც როგორც ეს უზენაეს სასამართლოს მთელ რიგ საქმეებიდან დასტურდება ყოველთვის ენერგიულად ვერ გამოდიან ფინსახკომის ინტერესების დასაცავათ.

ამასთანავე დაევალოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საკასაციო კოლეგიებს შეიტანონ ეს საკითხი უზენაეს სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითების გამოყენებით ერთ-ერთ ცირკულარულ წერილში ან მოხსენებაში.

4. მოხსენებული შინაარსის საქმეები, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო, მათი განხილვის დაჩქარების მხრივ ჩათვლილ იქნეს პირველი კატეგორიის საქმეებათ.

**გამომცემელი:**  
 საბ. ს. ს. რ. იუსტიციის  
 სახალხო კომისარიატი

პასუხისმგებელი რედაქტორი: **შ. მათკაშვილი.**  
 სარედაქციო კოლეგია: **ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.**



# უკანასკნელი გაფრთხილება!!!

დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო ხელისმომწერლებს, რომლებთანც დღემდე არ გადაუხდიათ ქურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფული — რედაქცია აფრთხილებს უკანასკნელად, რათა სასწრაფოდ გაასწორონ ანგარიში.

უახლოეს ნომრებში გამოქვეყნებული იქნება სია იმ ხელისმომწერლებისა, რომლებიც არ შეასრულებენ რედაქციის მოთხოვნილებას.

## მიიღება ხელისმოწერა

ქურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ოქტომბრიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმოწერის ფასი: — 3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რედაქციის უნიკალაზ აბრეშვი შაქანა ა. წ. 1 იანვრიდან გამოქვეყნებული  
პველა ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამაზრო სასამართლოებს, რომელთანც მოქმედებით პირველი გაუუიდველი სასწრაფოდ გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.

# 1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ დ ი ს ს. ს. ს. წ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის  
ორკვირეული ორგანო

## „ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

**„საბჭოთა სამართალი“** ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი პენიტენციურ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე  
შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერიტორიის მასალა, პრონიკა, გიგლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაგრძობილად შემდეგი ახსნაგებები:  
(ანბანზე)

აღსოვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუხტიანი ა., დოლიძე თ., ენუქიძე ევდ., ვარდანანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლენჩიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. ძაძამიძე ივ. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.  
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—51.